

№24 (288)

# ქართული სტრუქტურა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ზომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“  
კვირველი ღმერთი

ფასი 1 ლარი

17 – 23 ივნისი 2015 წ.

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

## წარღვნა

ქართველებო, მარად, მარად,  
ვგრძნობდით სისხლის დაღვრასა,  
მტერს შეერგოს წარღვნა არმად,  
გაუძელით წარღვნასა!  
ყველაფერი ნავა ნალმა,  
ღვთისგან – სამართლიანად,  
ნუთუ, ვერ გრძნობთ,  
ერთმა წარღვნამ  
როგორ გაგვამთლიანა!  
სიყვარული დგას თავდებად,  
გუთანია მეგუთნის,  
ყველაფერი დამთავრდება  
ისე, როგორც გვეკუთვნის!

ჯანსუღ ჩარკვიანი

## „ამდენი ხალხი პირადი მოგებისტვის განირეის!“

ტრაგედია შესაძლოა, ასათიანის ქუჩაზეც დატრიალდეს – თბილისი „გვლელი შენობებითა“ სავსე!


13 ივნისის ტრაგედიის მიზეზებს პროკურატურა შეისწავლის – ვისთან მივა გამოძიება?

„ღავით წარმანიას საქმეს საცხიხედ გაუხდინა!“



„გმირთა მოედნის ესტაკადის საძირკველი უკვე მორყეულია, მორყეულია საყრდენი კედელიც, ამიტომ ზუსტად და უზუსტოდ უნდა დადგინდეს, რისი გაკეთებაა საჭირო. შედეგ, უნდა დაიდოს დასკვნა, აქვს თუ არა აზრი აღდგენას.“

„ვიცნობ ადამიანს, რომელმაც ეს მშენებლობა დააბრუნებდა და პირადი შეხვედრისას მითხრა, რა ვქნა, მუშაობას არ მაცდინაო... უბუნავესა და სააკაშვილს ეჩქარებოდით, ლენტის გაჭრა აბვიანდებოდით... „ნაციონალევის“ დრო ე. წ. „ატკატების“ პერიოდი იყო. მაგალითად, თუ კონკრეტული მშენებლობისთვის ბიუჯეტიდან 100 ათასი იყო გამოსაყოფი, მშენებელს ეტყოდნენ, რომ 150 ათასს გამოუყოფდნენ, ოღონდ აქედან 50 ათასი, რომელიც, რა თქმა უნდა, მათ ჯიბეში მიდიოდა, უკან უნდა დაებრუნებინა.“



მე-8-9-10-11 მკ.

## სასიყვარულო სამკუთხედი თავდაცვის სამინისტროში

დიდი პოლიტიკური უსინდისობა და ორგანიზაციული ჯგუფი

# 27

დასახელების საეჭვო პროდუქტი


„ბრინჯისგა“ განმოდინიციკრეპული პროდუქციის სია გაასაჯაროა >>> მე-13 მკ.



მე-2-3 მკ.







ლიტერატურა.  
საქართველო. ქართული

ახალი ლექსები

ქართული ენა

ეს არის ჩემი ენა ქართული, წარმართა – არა, ღვთისგან მართული. ღვთისგან მართული – არა წარმართა, ეცადა მტერი და ვერ წამართვა. ეს ჩემი დედა, დედა-ენაა, მისი შეილობაც მე დამევალა. დედაა ჩემი აკვნის გამთლელი, მემამყვება, რომ ვარ ქართველი! მაღლობა, ჩაქრა ცეცხლი რუსული, შენ ვერ გექნება ვერც ინგლისური! რუსთველის ენაც, ილიას ენაც, მაინც ანთიხარ. თუმცა, დღეს ბნელა, ენაც ქართული, ქვეყნის დიდებაც, მე შენი ყველა სიტყვა მჭირდება! შენი სიტყვაა, სიტყვა – „მიყვარხარ“, დიახ, ამ სიტყვას ღმერთთან მიჰყავხარ და ერთსაც გეტყვი, სიტყვას გულიანს, შენ იცი, ღმერთი სიყვარულია! მე შენს წინაშე თავი დაგხარე და მწამს, ვერასოდეს ვერ დაგმარხავენ! ქართული ენაც, ენაც ქართული, წარმართა – არა, ღვთისგან მართული!

ქართული

ხარ ბრძოლებში ნიადაგ, მაინც ფრთაგაშლილი, შენ ქართველი გქვია და სიყვარულის შვილი. შენ ვილაცხა როდის ხარ, სამკალს რომ ვერ მკიდე, შენ შორიდან მოდიხარ და შორს წახვალ კიდევ. მოდი, ვიყოთ გულწრფელი, ვთქვათ ალალი სიტყვა, სხვას ვისა ჰყავს რუსთველი, ან თამარი ვის ჰყავს?! მარად ჯვარზე გაკრული, მტერიც ბევრი გყავდა, სხვა ვინ მღერის „ჩაკრულოს“, ქართველების გარდა?! თუმცა, ვიტყვი შიშითა, ზოგის სული ყარდა, ბევრი ძმობას გვიშლიდა, მკვლელიც ხშირად გყავდა. დროს ვიგონებ უმართავს, რაც სიძულვილს უდრის, ყველაფერი უნდა ვთქვათ, კარგიცა და ცუდიც. მაინც კარგი იმარჯვებს საქართველოს გულში, იმ ბოროტებს, იმ ქაჯებს ვჯობნით სიყვარულში. ჩვენს სიყვარულს მივხედოთ, ძველი საქართველო, მარიაამის წილხვედრო, მარად რწმენით გველოს. მაინც, იქ ხარ, მზესთან ხარ, მარად ვეტრფი იმ ძველს, მაინც, სხვა ხარ, შენ სხვა ხარ, ვაშა, ქართულ სიბრძნეს! შე რჩეულო, შე ბრძენო, ცეცხლი მაინც ღვივის, დიახ, შენს სადღეგრძელოს ვსვამ ქართული ღვინით.



# მოგავლის ძარი ჯანსუგი ჰაროჯიანი

საბარძელო

შენი მიწა, შენი ცა, შენი მთვარე, შენი მზე, ყველაფერი შეიცან, ახალს ვადრი ძველისძველს. ისტორია ელდაა, უამი – წუთისოფელი, საქართველო დედაა, დედა – ჩემი მშობელი. რა ექნათ, ასე გეჩვენებია, ყველგან წვიმს და ყველგან თოვს, საქართველო ჩემია და ვერასდროს ვერ დავთმობ! რწმენა ჩემი ესოდენ მოცულია ნათელით, მტერო, კარგად გესმოდეს, მე ვარ ნაღდი ქართველი! ჩემს სიყვარულს ვერ წაშლით, თუმც სათქმელი დამძიმდა, ამ ლექსს ვამბობ მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძრიდან!

ჩემი ყვავილეთი

მიმოზა და მაგნოლია შენ ხომ ვარდი არ გგონია? მაგნოლია და მიმოზა, ელოდება თავის მოძღვარს. დროს ეტრფიან, დროს ძალიან, დრო ხომ მათი მოძღვარია! სიყვარულის აგონია – მიმოზა და მაგნოლია. მაგნოლიას ვადრი მგოსანს, სიყვარულის მაღლი მოსავს, მიმოზაა ერთგულება, ის ჩემს გულში მეგულება. ჩემმა ბედმა რაც მიბოძა, – მაგნოლია და მიმოზა. და შემოვკრავ იმ ორ ზარსა – მაგნოლია-მიმოზასა. სიყვარული ჰყვავის ღმერთის, როგორც ჩემი ყვავილეთი.

სიყვარული

გამახარებ როდის, როდის, მეტყვი სიტყვას გულიანს, სიყვარული ციდან მოდის, – ღმერთი სიყვარულია! მხოლოდ, მხოლოდ შენთან მიწა. ცას ჩემი ხმა შერთვია, სიყვარული მოდის ციდან, სიყვარული ღმერთია! შენ არ ჩანხარ, გელი, გელი, ეს რა ბედი მქონია, ციდან მოდის ჩემი ცრემლი, შენ რომ წვიმა გგონია! ცოდვით ვმღერი, ვმღერი ცოდვით, რასაც ჰქვია ვედრება. მზე ამოვა, მაგრამ როდის, როდის გამითენდება?!

მახვში

შხარა, შხელდა, უშხა და, რა თქმა უნდა, თეთნულდი, შენს სიმღერებს გულს ვატან, მზიდან მოდის, მზეს უდრის. სხვა რა მეგულება რა, მხარეც გასაკვირველო, შენი ერთგულებაა შენი „რიშა“, „ლილეო“. მე, თბილისის ბინადარს, გულში სევდაც მქონია, მახვშის სკამზე ვზივარ და თავი მახვში მგონია.

შური

ზოგს ვერ გამოუტყვია, რა სიტყვაა „მწერლობა“, ჩემი ინტუიცია არის შორსმჭვრეტელობა. თუნდაც უცებ მოკვდებ დღეს, მე ვარ საბას ერთგული, ლექსში რაც არ მოქმედებს, – შური არარსებულად. შენ უფლისა ხარ ნება, უფლის გამო უკვდავ ხარ, შური არს მწუხარება, როცა შენს ხალხს უყვარხარ. შურო, გიცნობ, ტიალო, და რაც უნდა გავეშდე, მარად დახეტიალობ სიყვარულის გარეშე. შური არის თავნება, ეფარება მტრის კედელს, შური არს მწუხარება, შური ებრძვის სიკეთეს.

სასუცხისო ლექსი

გურამ ბენაშვილს

წავიკითხე შენი წიგნი, შენი სილუეტები, გული გიძგერს ცასა შიგნით, მინაზე ვერ ეტევი. წინ გაუსწრებ მაღე გიყვარს, რაც გინდოდა, განყოფის ის, შენ წარსულის ალერსიც გაქვს, არა – მხოლოდ ანწყობს. შენ ნამდვილად პირველი ხარ ცისკენ გადარბენაში, შენ მიწიდან ცისკენ მიხვალ, ვაშა, გურამ ბენაშვილს!

ბალატიონის მონატრება

დღეს გზებს ვუმზერ გადახრეშილს, ერთმანეთს რომ კვეთავენ, ვერის ხიდთან, საარყეში, ჩვენ ვხვდებოდით ერთმანეთს. გვერდნა ხშირად მკაცრი სიტყვა, იმ სიმკაცრეს სულ ველი, ფრთაგაშლილი კაცი იყავ, მარად დაუთრგუნველი. ღმერთმა იცის, გულს რა უფლის, ანდა, ვისი ქადილი, შენ გიყვარდა უცნაური, უცნაური ნადიმი. შენი სახე ჰგავდა მდიდარს, სული კიდევ – მზის ყვავილს, ჭიქა არაყს დაჰკრავდი და უკვე კარგად იყავი. მარად შენთან ყოფნა მსურდა, რაც ბოლომდის მეღირსა, გამჭვირვალე იყო მუდამ შენი ჯადო ლექსისა. კვლავ ჩამესმის შენი ხმა და შენი კითხვის ნიშნები, კვლავაც ამ ჩემს გულში ხარ და არასდროს წაიშლები. და ისიც ვთქვა, აქვე, მიწა, იმას ვამბობ, რაც მიწა, ვერ ავდივარ და ქვევიდან ვეფერები მთანმინდას!

ლექსის ნაკვეთი

ჩემს მამულა გონაშვილს


გულისწყრომაა, ვინც არ დადის ქვეყნად ღვთის ფიცით. ღვთისნიერია, მართალთა გზის ფასი ვინც იცის. შენი შუქია, რაც ანათებს ქება-დიდებას, ქება-დიდება სიყვარულის ბილიკს სჭირდება. შენი თაობის სიყვარული შენნიერია, ახალი ლექსის ნაკვეთი მშვენიერია. სიკეთის გამო, შემწე ხარ და არ ხარ უბრალო, შენ ხომ მარადის შენ საყვარელ მამულს უგალობ. კეთილისმყოფელს, მერე, რა, რომ ურისხდებიან, დულს სიყვარული, მოძულენი შურით სკდებიან!



„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას ხომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვაგ“  
კარინა ლუცინი

საქართველო  
საქართველო

## ახალი ლექსები



**ძარი**  
ხვალის დღე სულ სხვაგვარია,  
კარგად გამიგეთ, თარსებო,  
ქარი მარადის ქარია,  
მომავლის ქარიც არსებობს!  
სიტყვას შევანერ ასე ძვირს,  
მე ქარის გამოც ხომ ვთბები,  
ქარი არცერთ ხეს არ ებრძვის,  
მიაქვს გამხმარი ფოთლები.  
ქარი ქრის და მიხარია,  
ის, ვისაც უყვარს მისია,  
ქარი მარადის ქარია,  
ისე, ვით ნისლი — ნისლია!  
მივდივარ, მიმიქარია,  
დავტოვე დღის ნასუფრალი,  
უკან ვინც მომდევს, ქარია —  
გულწრფელი ჭირისუფალი.  
მე ვერ ავუხვევ თვალს მკითხველს,  
ღმერთო, მიეცი მადა ქნარს,  
მე როცა წავალ, ქარს ჰკითხეთ,  
როგორ დავქროდი ქარდაქარ!

**ტაიშილი**  
ზღაპრის ბუდეში ბრდღვინავს ავსული,  
შემთხვევითობა ცისკენ მიაქვს ქარს,  
მივესალმებით ჩრდილებს წარსულის,  
აბა, მომავლის ჩრდილი ვინა თქვა?  
კაცმა არ იცის, ვის სად მივდენით,  
გაზაფხულის გზით მარად ვინ ივლის,  
ვით შემართება დღის ხვალისდღის,  
მამულის ხვედრი არის ტკივილი.  
გაზვიადება არ გვეკადრება,  
არ დარჩებიან მტრები ლაჩრებად,  
სუყველაფერი გაფერმკრთალდება  
და მონა ისევ მონად დარჩება!  
გამყიდველს, განა, გული უცემს, რომ  
უღიმის მამულს ფეხქვეშგათელილს,  
და თუ ჩრდილში ხარ, თანაც უცრემლოდ,  
აღიარე, რომ არ ხარ ქართველი!

**სიზარია**  
რა მიყო ბედმა, ახვარმა,  
ტვინში რა შემყვა ბებრული,  
ადრე — ირმაზე, ახლა ვარ  
სიკვდილზე შეყვარებული.

**ძარტველო!**  
დღეს ღვთის გულში ხატად ზიხარ,  
ღვთისა გეზით ივლი ხვალ,  
არა სთქვა, რომ ლატაკი ხარ, —  
საქართველოს შვილი ხარ!  
შენ მართალთა ფეხით დახვალ,  
მტერი მისას მასხრობდეს,  
შენ ღვთისმშობლის ქვეყნიდან ხარ,  
ქართველობა გახსოვდეს!  
ფზიზლად ვიყოთ, ძილი — არა,  
გვიმზერს ზეცა კრიალა,  
დღეს მთავარი ილიაა, —  
მისი მკველი კი არა!

**უფალო, შვირწყალნი!**  
თურმე, ვცოდავ და  
თურმე, ვცდები და,  
უფალო, მისხენ  
უმეტრებისგან!  
უფალო, მომეც  
კაცთა სიმდაბლე,  
თურმე, ისა ვარ,  
რაც დავიბადე!  
თუმც, ისევ მაინც  
ვშვენი მომავალს,  
მე ცოდივლი ვარ,  
შენი მონა ვარ!  
შიში გულისა  
თუმცა სულ მჩაგრავს,  
მაინც შორსა ვარ  
ბოროტ სულთაგან.  
და თუ რწმენამდე  
მაინც მივდი,  
შენი ციური  
მადლის იმედით!

**დაბრუნდებიან?**  
მე იმ პარლამენტართა  
არ გადმოგცემთ არც სიას,  
ყველაფერი „ფორსია“,  
ყველაფერი „ფარსია“.  
არ ვეხები არც გლეხებს,  
არცა თავად დადიანს,  
პარლამენტში ისინი  
იშვიათად დადიან.  
და თუ „ოცნებელები“  
მალე გაბრიყვდებიან,  
მიშვიკუნას მრევლებიც  
მალე დაბრუნდებიან.  
რთველიც უკვე არ რთველობს,  
მტერს ვუყურებ დაუღლელს,  
თუ გსურთ, რომ იქართველოთ,  
მკველელებს კარს ნუ გაუღებთ!

**ალერსი**  
ნაიკითხე,  
როგორ გეაღერებები,  
ანკესებით ნაკენესებით  
ლექსებით.

**პაი-პაი**  
ნეტავ, გზები რამ გაგვიყო,  
უამი მართლა სატანაა,  
ადრე ქალი კაცთან იყო,  
ახლა ქალი ქალთანაა.  
დღეს ისაა, რაც არ იყო,  
რა იქნება, რაც არაა.  
ადრე კაცი ქალთან იყო,  
ახლა კაცი კაცთანაა.  
ალარც რთველი აღარ რთველობს,  
კაცობაა განვადებით,  
გაიხარე, საქართველო,  
ანი, ველარ გამრავლები!

**ძაბნილ „რეზიდენტს“**  
როდემდე ვივლით ქართველები  
ამგვარ გოდებით,  
შენა ხარ ჩონჩხი  
და საკანში არ გამოდგები.

**ვაჟა**  
ქვეყნის ტკივილებს  
მყარად ირჩევდი,  
ქართველთა მტერი  
რომ გაგესრისა,  
ეკლებზე იწექ  
და არც იმჩნევდი,  
ბოროტებს შურდათ  
შენი ლექსისა.  
შენ არ იმჩნევდი,  
გული ცოდვობდა,  
ღმერთმა სალი კლდე  
შეგიფერადა,  
ქართველს რომ შენი ფასი  
სცოდნოდა.  
ერთ ჩოხას მაინც  
შეგიკერავდა.  
წუთისოფლისა  
დამათრობელი,  
წუთი წუთსა და  
დრო დროს დამარხავს,  
მაინც, მზე იყავ  
მანათობელი,  
არც მიფიქრია,  
რომ აღარა ხარ!

**მარადიული**  
თუნდაც ბევრი ცრემლი დაიღვრება,  
კოლოსალური თანხა გაქვს და  
როგორ წაიღებ?  
ტვინი თუ არ გაქვს, რა თქმა უნდა,  
არც ტვინის არ ისმარ,  
წყეულო კაცო, შენ გგონია  
ანტიკვარი ხარ?  
„ოცნება ჩემო, სიცოცხლისაგან,  
გთხოვ, ნუ გამოიშავ“,  
„ნაცთა“ კედელზე აწერია  
შენი აფიშა.

**ისარი**  
ერთმანეთს ვერასდროს,  
ვერასდროს დავმარხავთ,  
ჩვენი, ღმირილია,  
ისარი მტრის არი,  
მე ხომ აღარა ვარ  
და შენც ხომ აღარ ხარ,  
ჩვენს მტერს კი ჰგონია,  
რომ ქვეყად ის არი.

**წუთისოფელი**  
ალარც მზე და  
ალარც მთვარე,  
ალარც დილა,  
მდინარენი  
დაღმა — არა,  
ალმა დიან,  
ცხრა ნაბიჯი  
შენი მტრისა  
სახლამდია,  
წუთი წუთზე  
ყველაფერი  
დაღლამდია.  
ეს ცხოვრება  
ფარატიანა  
ქალაღია,  
ისე, ვითომ  
სიყვარულის  
ლაღიაა.  
და რაც დაგვრჩა  
ისიც სისხლის  
დაღვრამდია.

**შიში**  
დღეს ქართულ სუფრას  
მტერი თამადაობს,  
სტუმრები გრძნობენ  
თავს შეშლილებად,  
მტერი მტერია,  
მტერი არასდროს  
არ შეძრწუნდება.  
არ შეშინდება!  
ყველას შუბლზე აქვს  
შიშის ნიშნები  
და არ ცხოვრობენ  
ასე მშვიდებად.  
ქართველები ვართ  
რადგან მშიშრები,  
ამიტომ მტერიც  
არ შეშინდება!

**ჩაში რჩება...**  
ნუ ენდობი კაცს შურიანს,  
ბოროტსა და კეთრიანს,  
მონა ეშმას ავსულია,  
ჩვენი მამა — ღმერთია.  
მე ჯერ კიდევ ვწერდი როდის,  
რომ წამი წამს შერთვია,  
დაიხსოვით, „პერიოდ“  
დროის მონაკვეთია.

**რეზო ჩხიძე!**  
დღეს ჯანსულმა განაცხადა,  
შენს მტრებს მალე დავმარხავ,  
„ჯარისკაცის მამაც“ ხარ და  
საქართველოს მამაც ხარ!

**ლოდინი**  
წარსულია რუსთველი და  
წარსულია ილია,  
შენ წარსული არ გქონია  
და არც გამოგივლია.  
აზრი სუყველა დროს გასცდა.  
არცა სწავლობს დრო მრავალს,  
ახლა ანმყოც არა გაქვს და  
ელოდები მომავალს?

**ორთაბრძოლა**  
ქართველთა მტერს  
გაგება, ალბათ, ძვირია,  
ვუცინი მზისთვალს ცქრიალას,  
ჩვენს შორის რა მანძილია,  
ანდა, რა დისტანციაა?  
ვილაცას არა ჰქვია რა,  
ვილაცას შვენი ანცობა,  
დიდგვაროვნება კი არა,  
არსებობს კაიკაცობა.  
ნეტა, იჩემებ რა მორალს, —  
მორალს საერთოდ გასცლიხარ,  
ორთაბრძოლაც არ გამოვა,  
შენ თუ ზერეულ კაცი ხარ.  
მინდა, მზის სხივით ინვოდე,  
ეს ლოცვა, ვფიცავ, იელვეებს,  
ვის მოსწონს, ნეტა, ვიცოდე,  
მაგ ტვინის სიცარიელე?

**ძველის ბახსანება**  
ის, რაც მკაცრად ძველობს,  
არის არქაული,  
არის გძულს საქართველო,  
არ ხარ აქაური.  
შენი გვარი ჩვენში  
არსად არ ყოფილა,  
შენ სხვაგვარად ხვწნეში,  
თავს გრძნობ კმაყოფილად,  
ანთებ იმ სხვის ბუხარს? —  
მარად ივლი მძევლად,  
ინგლისელი თუ ხარ,  
დარჩი ინგლისელად.  
ბევრი გვივლია და  
შეგხვედრივართ „ფარჩაკს“,  
გივი გვივა და  
შულაროვად დარჩა.

**სტუმარ-მასპინძელი**  
ჩვენ ვმასპინძლობთ  
და ვთამაშობთ სტუმრობანას,  
ველოდებით, ალბათ, ვინმე  
გადმოგივადებს ერთ მანეთს.  
იუმორი  
უნყინარი ხუმრობაა,  
ჩვენ არ ვხუმრობთ,  
ჩვენ ვაგინებთ ერთმანეთს!

**ხედვა**  
დამინახოს მტერმა მხნედა,  
ნეტა, ან ვის ვედრები?  
სილაჟვარდეს ველარ ვხედავ,  
ცისკენ არც ვიხედები.  
გეუბნებით, მტრის მასხრობო,  
დიახ, არვე ჯოგია,  
ტკბილი სევდა არ არსებობს,  
რადგან მწარე სჯობია!

**სადღებრძელი**  
მე ვადღებრძელებ  
კაცს, რომელსაც ჰქვია დიდება,  
კაცი, რომელიც სიყვარულის ჰანგით  
გაზრდილა,  
ვინც ჩვენთან იყო  
და სიცოცხლეს გვიადვილებდა,  
წავიდა ჩვენგან  
და სიკვდილი გაგვიადვილა!

**მარტყოფი**  
გიორგი სააკაძეს  
ჩვენი სიცოცხლის  
ღამეც ქრებოდეს,  
მზე სიყვარულით  
რომ არ მოგვერგო,  
არც საქართველო  
არ იქნებოდა,  
მარტყოფის ომი  
რომ არ მოგვეგო!

**სიზარია**  
თუ მოუსმენ ბებრის ხმებს,  
ნაღდად ვხედავ სიახლეს,  
ჩემი გასვენების დღეს.  
რა ვქნა, ვერ დაგინახე.  
წლები არ მასვენებდნენ,  
წლები — დროის ლაჩრები,  
შენ რომ გაგასვენებენ.  
მე შენს გვერდით გაწინდები.  
აქ ყველანი მიცნობენ,  
ვით ტირილში ჩანსულ ხმებს,  
კარგადა ვარ, იცოდე,  
არც მარწუხი მანწუხებს.







საქართველო  
საქართველო

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას ხომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“

ვინაიდან

ტრაგედია უბიროდ

# „ამდენი ხალხი პირადი მოგებებისთვის განირჩევა“

ყველაფერი ნალექილია... ამის ჩამდენს თვალები რომ ჰქონდეს, საკუთარი ნამოქმედარის შეეშინებოდა... წყალმა ცოცხლები კი არა, მკვდრებიც არ დაინდო – საფლავები ნალექია... შესაძლებელი იყო თუ არა ტრაგედიის თავიდან არიდება? ვისი პასუხისმგებლობა იკვეთება, ვისზეა ამდენი ადამიანის სიცოცხლე და არსებობს თუ არა ტრაგედიის განმეორების საფრთხე? – „ქართული სიტყვა“ ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, არასამთავრობო ორგანიზაცია „მშენებლობა ფაქსიფიკაციის გარეშე“-ს ხელმძღვანელ ანზორ სპანდლიძეს ესაუბრა:

ტრაგედია შესაძლოა, ასათიანის ქუჩაზეც დატრიალდეს – თბილისი „ეკვლილი მშენებლობა“ სავსე!

13 ივნისის ტრაგედიის მიზეზებს პროკურატურა შეისწავლის – ვისთან მივა გამოძიება?!

„გმირთა მოედნის ესტაკადის საძირკველი უკვე მორჩეულია, მორჩეულია საყრდენი კედელიც, ამიტომ ზუსტად და უზუსტოდ უნდა დადგინდეს, რისი ბაქთეობაა საჭირო. შემდეგ, უნდა დაიდოს დასკვნა, აქვს თუ არა აზრი აღდგენას.“

– რატომ დაგვეგრავთ თბილისი, ბატონო ანზორ?

– მდინარე ვერეს ბუნებრივ კალაპოტში შენობები არ უნდა ყოფილიყო. არსებობს დასკვნა, რომელიც ამბობს, რომ მდინარე ვერეს მიმდებარე ტერიტორიაზე ძლიერ მცოცავი გრუნტებია და ამიტომაც, მშენებლობა ყოველად გაუმართლებელია. 12 წლის წინ, ძველ, გამოცდილ გეოლოგს ვესაუბრე, რომელმაც ამ ტერიტორიაზე კვლევითი სამუშაოები პირადად ჩაატარა და მენყერის დიდი საშიშროება დაადგინა. ამიტომ, ვერეს ხეობაში საცხოვრებელი სახლისა თუ საინჟინრო ნაგებობის აგება არ შეიძლება!

– გასაგებია, რომ მშენებლობა უადგილო იყო, მაგრამ, ბატონო ანზორ, ის თუ შეგიძლიათ მითხრათ, რამდენად ხარისხიანად აშენდა?

– აი, რაშია საქმე: დღეს, როცა შენობები და გზაც დანგრეულია, იმაზე საუბრობენ, უნდა აღდგეს თუ არა, რადგან ასეთი საშიში ბუნებრივი მოვლენები ყოველთვის მოსალოდნელია. 12 წლის წინ, იმ გეოლოგმა, რომელზეც წელან მოგახსენეთ, დაწერა სტატია, რომ მდინარე ვერეს გაყოლებაზე აშენებული ყველა ნაგებობა განწირულია.

– მახსოვს, ამაზე ლაპარაკი თქვენც რამდენიმე წლის წინ დაინწყით...

– დიახ. ახლა, როგორც ჩანს, გმირთა მოედანზე ჩამონგრეული გზის ნაწილის აღდგენა აღარ შეიძლება და ისევ რეკრუაციულ ზონად უნდა დარჩეს, მაგრამ თუ მაინც დამაინც გვინდა, რომ აქ ტრასა იყოს, მდინარე ვერეს ბუნებრივ კალაპოტს არ უნდა შევეხოთ. ნეტავ, მდინარის ლითონის მილში გაშვება აზრად ვის მოუვიდა?! ღვარცოფული მოვლენისას, ვერე თავის კალაპოტს მაინც დაიბრუნებს.

ახლა ასეთი სიტუაციაა: თუ ტრასა გვინდა, ესტაკადით უნდა გაკეთდეს და ამაღლდეს, ოღონდ, რა თქმა უნდა, წინასწარი გამოკვლევის შემდეგ.

– კალაპოტი რატომ შეცვალეს?

– ამდენი ხალხი პირადი მოგებებისთვის განირჩევა – ნებართვების გაცემა და ფულის შოვნა დაინწყეს.

– ვერეს კალაპოტი „ნაციონალური მობილობის“ დროს, გიგი უგულავას მერობისას შეეცვალა, მაგრამ ახალი მთავრობა რომ მოვიდა, არ იცოდა, რომ კალაპოტი შეცვლილი იყო, რატომ არაფერი მოიმოქმედა?

– გეტყვით, საქმე რაშიცაა. სახელისა და გვარის დასახელება არ მინდა, მაგრამ ვიცნობ ადამიანს, რომელმაც ეს მშენებლობა დააპროექტა და პირადი შეხვედრისას მითხრა, რა ვქნა, მუშაობას არ მაცდიანო. არ შეიძლება, ასეთი დიდი ინფრასტრუქტურული პროექტის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გარეშე გაკეთება!

– „არ მაცდიან“ რას ნიშნავს, ბატონო ანზორ?

– რას ნიშნავს და, – უგულავასა და სააკაშვილს ეჩქარებოდათ, ლენტის გაჭრა აგვიანდებოდათ... „ნაციონალების“ დრო ე. წ. „ატკატების“ პერიოდი იყო. მაგალითად, თუ კონკრეტული მშენებლობისთვის ბიუჯეტიდან 100 ათასი იყო გამოსაყოფი, მშენებელს ეტყოდნენ, რომ 150 ათასს გამოუყოფდნენ, ოღონდ აქედან 50 ათასი, რომელიც, რა თქმა უნდა, მათ ჯიბეში მიდიოდა, უკან უნდა დაებრუნებინა.

– თუ „ნაცებმა“ ცუდად გააკეთეს, „ოცნებამ“ სიტუაცია რატომ არ გამოასწორა?

– რა უნდა გაკეთებინათ, როცა უკვე აშენებული იყო?

– მდინარე ვერე ძველ კალაპოტში დაებრუნებინათ...

– უკვე ისე იყო გაკეთებული, რომ ვერაფერს მოუხერხებდნენ. სხვათა შორის, ბუნ-



ებადამცველმა ნინო ჩხობაძემ ყველაფერ ამაზე, რასაც ვამბობდი, ისაუბრა და ყველა ადამიანი შეკრიბა, ვისაც მშენებლობასთან აქვს კავშირი. ახლა ისინი ჩაუტარებელი სამუშაოების გამოკვლევას იწყებენ, რათა ასეთი რამ კიდევ არ განმეორდეს და ზუსტად მიხვდნენ, თუ ვისი პასუხისმგებლობის საკითხი დგას და რატომ. გმირთა მოედნის ესტაკადის საძირკველი უკვე მორყეულია, მორყეულია საყრდენი კედელიც, ამიტომ ზუსტად და უზუსტოდ უნდა დადგინდეს, რისი ბაქთეობაა საჭირო. შემდეგ, უნდა დაიდოს დასკვნა, აქვს თუ არა აზრი აღდგენას. – როგორ ფიქრობთ, ეს წინასწარ ხომ არ იყო დაგეგმილი? იქნებ, ვინმეს ანგობდა ამ ტრაგედიის გამონევა? – არა, ძალით გაკეთებული არ იყო. ეს უვიცობისა და სააკაშვილის ხუმტურების ბრალია. სხვათა შორის, ის ხალხიცაა დამნაშავე, რომელმაც თავის დროზე პროტესტი არ გამოხატა. ყველა, ვინც ამ პროექტს დაეთანხმა და სამუშაო არაპროფესიონალურად შეასრულა, ამ დანაშაულის მონაწილეა.





„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშენიერებაც სომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავე, ქართულო სიტყვავე!“

*ვანო ჯანაშია*

ლექსიკონი.  
საქართველო. ქართული

## ტრაგედია უგვიროდ



Zura Megrelishvili  
PHOTOGRAPHY



Zura Megrelishvili  
PHOTOGRAPHY



საქრებულო  
საქრებულო

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე!“

კონსტანტინე

ტრაგედია უგვიროდ

„ვიცნობ ალაშიანს, რომელმაც ეს მშენებლობა დააპროექტა და პირადი შეხვედრისას მითხრა, რა ვქანა, მუშაობას არ მაცდინა... უბუღავსა და სააკაშვილს ეჩქარებოდათ, ლენტის გაჭრა აბვიანდებოდათ... „ნაციონალების“ დრო ე. წ. „ატკატივის“ პერიოდი იყო. მაგალითად, თუ კონკრეტული მშენებლობისთვის ბიუჯეტიდან 100 ათასი იყო გამოსაყოფი, მშენებელს ეტყობოდა, რომ 150 ათასს გამოუყოფდნენ, ოღონდ აქედან 50 ათასი, რომელიც, რა თქმა უნდა, მათ ჯიბეში მიდიოდა, უკან უნდა დაეპრუნებინა.“

მე-8 გვირგვინიდან

— ვიდრე „ნაციონალები“ აშენებდნენ დაიწყებდნენ, გეოლოგიური დასკვნა, რომელიც ამ ტერიტორიაზე მშენებლობას კრძალავდა, ხომ არსებობდა?  
— რა თქმა უნდა, არსებობდა და დღესაც არსებობს. მდინარის კალაპოტში საერთოდ არ შეიძლება რაიმეს აშენება.  
— თბილისში არასწორ ადგილას და ცუდად აშენებული ბევრი შენობაა?

— თბილისშიც და მთელ საქართველოშიც. 20 წელია, ერთი შენობაც არ შემონახულია. უგულავამ ყოველგვარი შემონახვა გააუქმა, რადგან ჯერ ერთი, მამამისს სამშენებლო ფირმა ჰქონდა და, მეორეც, ეტყობოდა ვინმეს, აი, შენ გაგათავისუფლებ შემონახვისგანო და, ალბათ, პირად მოგებასაც ნახულობდა. შენობებიც, რა თქმა უნდა, ყოველგვარი შემონახვის გარეშე ბარდებოდა. ადრე მშენებლობის ნებართვა არ გაიცემოდა, თუ პროექტის უსაფრთხოება, როგორც კონსტრუქციულად, ისე ეკოლოგიურად არ შემონახვოდა. უგულავამ ამ სისტემაში ისეთი წესი შემოიღო, რომ ახლა ნებართვა მხოლოდ არქიტექტურული ნახაზით, უფრო სწორად, ნახაზით გაიცემა. კონსტრუქციული ნახაზები არავის აინტერესებს... ეს, კარგი, უგულავას ხუშტურებია, მაგრამ ახალი ხელისუფლება რომ მოხვედრიდა, რატომ არ გამოასწორებ? მსოფლიოში ვერ ნახავთ პრეცედენტს, სამშენებლო ნებართვას მხოლოდ კონსტრუქციული ნახაზით რომ გასცემდნენ. ეს წესი ახალმა მთავრობამაც არ შეცვალა.



Zura Megrelishvili PHOTOGRAPHY

ესე იგი, მომხდარზე პასუხისმგებლობა როგორც „ნაცმოდრობას“, ასევე „ოცნებასაც“ ეკისრება?

— ეს პასუხისმგებლობა კი არაა, უბედურებაა... შორს რომ არ წავიდე, ასათიანზე, 32-სართულიან კორპუსებს აშენებენ და პროექტი არ აქვთ. კონსტრუქციული ნახაზიც არ მაჩვენებს და შემდეგ, სასამართლოს გზით, მოვიპოვე. მაღლივი კორპუსები, მსოფლიოში აღიარებულია, რომ ყველაზე რთულად და ყურადღებით ასაშენებელია, აქ, ჩვენთან კი, რიგ-რიგობით აშენებენ. ეს რას ჰგავს?! თან, ერთიც არ მაჩვენებს კონსტრუქციულ ნახაზს იმიტომ, რომ გამზადებულიც არ აქვს. გამოკვლეულია, რომ თბილისის 8-ბალიანი სეისმური ზონაა და კარკასული შენობა, არ შეიძლება, 12 სართულზე მეტი იყოს. ამის უფლება არ აქვთ. შეიძლება, რომ 20 სართულით ზედმეტი ააშენონ?

ბათუმში უარესი მდგომარეობაა: გავგიჟდი, რომ ვნახე — კორპუსებში ჯერ ხალხი არ შესულა და უკვე გადახრილია.

ვინაიდან ეს საშინელება მოხდა, ჭკუა ახლა მაინც ვისწავლოთ. მშენებლობები დროებით შეაჩერონ, გადახედონ ტექნიკურ დოკუმენტაციას, ზუსტად გაარკვიონ, სწორად შენდება თუ არა და შემდეგ, მისცენ უფლება, მაგრამ ამის გამკეთებელი ორგანიზაცია დღესდღეობით არ არსებობს.

— თამაზ ელიზბარაშვილის ძაღლების თავშესაფარიც წყალმა იმიტომ წაიღო, რომ ცუდ ადგილას იყო აშენებული?

— აბა, რა, თითქმის მდინარის ნაპირთან იყო...

— 2 კვირის წინ, ნაკლებად მასშტაბური წყალდიდობისას, თავშესაფარი დაზიანდა და, თუ არ ვცდები, 3 მილიონით დაზარალდა თამაზ ელიზბარაშვილი. ახლა თავშესაფარი საერთოდ აღარ არსებობს... ცოტა ხსნის წინ რომ ასეთი რამ მოხდა, მთავრობა ხომ უნდა დაფიქრებულიყო, რამე ხომ უნდა გაეკეთებინა?

— არ ვიცი...

— ბატონო ანზორ, კიდევ რა გვემუქრება?

— საფრთხე არის. ამიტომ ყველა პროექტი კარგად უნდა შემოწმდეს, განსაკუთრებით, მაღლივი კორპუსები. კარკასული შენობები 12 სართულზე მეტი არ შეიძლება. 1988 წელს, სომხეთში და 10 წლის მერე თურქეთში მიწისძვრა მოხდა და ასეთი შენობების 98% დაინგრა. ასეთებს მსოფლიოში „შეკვლეულ შენობებს“ უწოდებენ, თბილისი კი, „შეკვლეული შენობების“ სახელია!

პრემიერ ირაკლი ლარიაშვილის განცხადებით, 13 ივნისის ტრაგედიით, შესაძლოა, პროკურატურა დაინტერესდეს. ამასთან, სტიქიის გამომწვევი მიზეზების შესასწავლად სამუშაო ჯგუფი შეიქმნება, რათა მომხდარის შესახებ კომპეტენტური და მაქსიმალურად ობიექტური დასკვნა მომზადდეს — შესაბამისი დავალება პრემიერმა გასცა. მთავრობის მეთაურის დავალების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, პროცესში უცხოელი ექსპერტებიც ჩაერთვებიან.

„დღეს ბევრი ექსპერტი საუბრობს, რომ



Zura Megrelishvili PHOTOGRAPHY



„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვაც, ქართულო სიტყვაც“

კარგო ლინის

ლექსიკონი.  
საქართველო. ქოლექტივი

## ტრაგედია უგვიროდ

**მე-10 გვირგვინი**  
ვერეს ხეობაში გვირგვინი და ახალმა გზამ, მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის, რაც მოხდა. არ ვიცი, ეს ემოციური შეფასებაა თუ სიმართლე. ვაგალებს შესაბამის სამსახურებს, დაინწყონ ამაზე მუშაობა, უნდა

შეიქმნას სამუშაო ჯგუფი და ამის შემდეგ არ გამოვირცხავ, ამ საქმით პროკურატურაც დაინტერესდეს. მსგავს ფაქტებზე რეაგირება ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ხდება“, – აცხადებს პრემიერი და საფრანგეთის მაგალითი მოჰყავს, სადაც, არაკეთილ-

ინდისიერად გაცემული ნებართვების გამო, რომელმაც გარემოს დაზიანება გამოიწვია, პასუხისმგებელი პირები დაისაჯნენ. მთავრობის მეთაურის თქმით, სახელმწიფო ვალდებულია, მოსახლეობას განუმარტოს, რატომ მიადგა ამხელა ზიანი დედაქალაქს.

„ვინც უნდა იყოს, უნდა მიეცეს პასუხისგებაში, არც ესაა გამორიცხული... საჭიროა, დადგინდეს რეალური მიზეზები, რომ მომავალში თავიდან ავიცილოთ ის, რაც მოხდა“, – აღნიშნავს პრემიერ-მინისტრი. **ბაბა ლიბრაძე**



Zura Megrelishvili  
PHOTOGRAPHY



Zura Megrelishvili  
PHOTOGRAPHY

ახალი სანა

„დავით ნარმანიას საქმეს საცხედ გადავხედავ“



ირაკლი ლლონტი: „თუ სასწაული მოხდა და პარლამენტში შევედი...“

ირაკლი ლლონტი ახალგაზრდა პარტია „რეფორმატორების“ ახალგაზრდა და ენერგიული ლიდერია. მიუხედავად იმისა, რომ მედიას გულგრილ დამოკიდებულებაში ადანაშაულებს, მისი სახელი მაინც ბევრმა იცის, რადგან ლლონტი სკანდალებთან ასოცირდება... ირაკლი ლლონტი „ქართულ სიტყვასთან“ იმ სტეპმასაც შიფრავს, რომლის მიხედვითაც თბილისის მერიაში თბილისელების ქონების გასხვისებას აპირებენ და მერიის წარმომადგენლებს კორუფციაში აშხვებს. ვისი ხელით აპირებს ბიძინა ივანიშვილი დავით ნარმანიას ციხეში გასტუმრებას და ვის ადანაშაულებს „რეფორმატორების“ ლიდერი მედიისთვის თავისუფლების წართმევაში? – „ქართული სიტყვა“ ირაკლი ლლონტს ესაუბრა.

– ირაკლი, მოდი, გუგული მალრადის იმ განცხადებით დავიწყობ, რომელმაც სრული საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური აფიოტაჟი გამოიწვია... ირაკლი ლლონტი, რომელსაც ხელფასი 2000 დოლარიც არ აქვს, ამ განცხადების მერე თავს შეურაცხყოფილად გრძობს თუ, როგორც მალრადემ აღნიშნა, საქმის არმცოდნეა?

– ჰო... დღეს გუგული საკმაოდ აქტუალურია, უფრო სწორად, გუგული კი არაა, მისი დამოკიდებულება, რადგან ეს ქალი „ქართული ოცნების“ სახეა – ხშირად ჩანს, საერთაშორისო ორგანიზაციებში სიტყვით გამოდის და, მივიჩნევთ თუ არა, მაინც ლიდერია, თუმცა როგორც ვიცი, მისი თავედ „ოცნებაშიც“ უკმაყოფილონი არიან.

„რეფორმატორებმა“ მოგანყვეთ აქცია – „მე უმუშევარი ვარ“, რომელიც, მართალია, მასშტაბური არ იყო და სულ 60-70 ადამიანი ვიყავით, მაგრამ სტატისტიკის სამსახურის იაფფასიანი პოპულაზიში და გადანიერილი ციფრები გავაპროტესტეთ, რომლის მიხედვითაც გვეუბნებიან, რომ უმუშევრობის დონემ დაიკლო. ამას, „რეფორმატორებთან“ ერთად, საქართველოს უდიდესი ნაწილი აპროტესტებს. ჩვენ ახალი არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტია ვართ და იმის ფუფუნება არ გვაქვს, კვლევებზე ხელი მიგვიწვდებოდეს, მაგრამ რომ ჩვენთვის ბარომეტრი საზოგადოებაა და არა – ისეთი პოლიტიზირებული სამსახურები, როგორც, ვთქვათ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურია. შესაბამისად, ეს „ოცნების“ უდიდესი ტყუილია.

– ადრე „რეფორმატორებს“ დამფინანსებელი არ ჰყავდა და ყველა ხარჯის გაღება პარტიის წევრებს საკუთარი ჯიბიდან გინევდათ. ამ მხრივ ახლა როგორი მდგომარეობაა?

– ახლაც ზუსტად ასეა. მიუხედავად ამისა, ძალიან აქტიური პარტია ვართ, მაგრამ პრობლემა მედიასთან გვაქვს – ჩვენს აქტივობებს ისე არ აშუქებს, როგორც უნდა აშუქებდეს. – ეს რას ნიშნავს? მედიას აქციების გაშუქებას ვინმე უკრძალავს?

– რომ დაგეთანხმო, ალბათ, სწორად არ მოვიქცევით... ფაქტია: „ოცნებამ“ „ნაცმოძრაობას“ სასათბურე პირობები შეუქმნა, რომ მეორე პოლიტიკური პარტია გამხდარიყო, რომელსაც ახლა კიდევ რამდენიმე პარტია, ჩემი აზრით, რაღაც გარიგებების წყალობით მიუერთდა.

– ესე იგი, „ოცნების“ ბრალია, რომ „რეფორმატორები“ მედიაში აქტიურობას უჩივიან?

– ერთის მხრივ, „ოცნების“ ბრალია, მეორეს მხრივ კი, თქმა არ მინდა, მაგრამ მედია თავისუფალი არაა... მეტს არაფერს ვიტყვი.

– არ გეთანხმები, თან მედია ადრე თავისუფალი იყო და ახლა აღარაა?

– არც ადრე იყო და არც ახლა! თუ ადრე „იმედში“ ავტომატებით შეცვივდებოდნენ, ახლა, ვხედავთ, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს ხელისუფლებას ჟურნალისტების მიმართ. ჩემი შეფასებით, დღეს მედია შევიწროებულია და მისი „თავისუფლება“ „ოცნების“ მიერ ხალხის თვალში შეყრილი მორიგი ნაცარია. ივანიშვილი პრემიერი გახდა თუ არა, მაშინვე ჟურნალისტებს თითის ქნევა დაუწყო. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ხელისუფლება სიმართლის ამსახველ მედიასაშუალებებს ყველაზე მეტად გადაეკიდა. შეიძლება, სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფთან დაკავშირებით მათი აზრი იყოფა, მაგრამ თავისუფლება არ უნდა აკრძალა!

– უკაცრავად, იქნებ, თქვენ არ ხართ მედიისთვის საინტერესო და ყველაფერი ამის ბრალია?

– ვერ გეტყვით, რომ ყველაზე საინტერესო პოლიტიკური ძალა ვართ, მაგრამ რამდენიმე დღის წინ, ალასანიამ ახალი ეკონომიკური პროგრამა წარადგინა, მე კი გაცილებით ადრე – წელიწადზე მეტია ვამბობ, რომ საქართველოში ფინანსური პოლიცია უნდა გაუქმდეს!

– რატომ?

– ფინანსური პოლიცია, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებიდან მოყოლებული დღემდე, მენარმეების დატერორების პოლიტიკური იარაღია. რატომ აქვს „რეფორმატორებს“ ფინანსური პრობლემები? – იმიტომ, რომ ჩემი და ჩემი მეგობრების სახით, პრინციპული ლიდერები ჰყავს, რომლებიც, სხვებისგან განსხვავებით, ოპონენტებთან პოლიტიკურ გარიგებებში არ შევდივართ. არ დაგინდავ და, გეტყვი, რომ ხანდახან კრედიტის სანაცვლოდ გვინევს აქტივობების გამართვა. ეს რეალობაა, რომელსაც არ გავუბრუნებთ. პირიქით, ბრძოლას ამ რეალობაში ვაპირებთ.

– ამ რეალობით, „რეფორმატორებს“ რა შანსი გაქვთ?

– თუ სასწაული მოხდა და პარლამენტში შევედი, იქ მხოლოდ იმის გაკეთება შემიძლება, რომ შიდა სამზარეულო ხალხის თვალწინ მაქსიმალურად გამოვიტანო და ყველა მანკიერი თვისება დავანახო. ხმაშალა პირველად ვიტყვი: საპარლამენტო არჩევნებში პირადად ირაკლი ლლონტმა მონაწილეობა შეიძლება, არც მიიღოს, მაგრამ მუდამ დარჩება ოპოზიციად, თუნდაც ქუჩის ოპოზიციად. ვილაცხვილავები, რომლებიც დღეს პარლამენტში არიან, იატაკზე ფორთხავდნენ, რომ საარჩევნო კოდექსში საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელებულიყო, მაგრამ ვნახეთ, რომ ესეც არ მოხდა. ჩვენ ინტერფრაქციულ ჯგუფში ვართ და პარლამენტის თავმჯდომარესა და პრეზიდენტს არაერთხელ შევხვდით. ერთადერთი ადამიანი, რომელიც საზოგადოების ინტერესებს ატარებს და ხალხის ლეგიტიმურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, სწორედ გიორგი მარგველაშვილია. ჩემი აზრით მიუხედავად, რომ კიდევ უფრო მეტად ძლიერი, ქმედითი და პრინციპული პრეზიდენტი გვჭირდება, თქვენი გაზეთის საშუალებით, გიორგი მარგველაშვილს მადლობას ვუხდით!



საქართველო  
საქართველო

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“  
კორნეე ლეონიძე

სამართალი

# „კაბელების საქმის“ ფიგურანტები პროკოპაციის ზღვარზე დგანან?

რომ არა თბილისის სტიქია, ე.წ. კაბელების საქმის სარჩელისთვის პროკურატურის მიერ საიდუმლო გრიფის მოხსნა ქართული პოლიტიკის მთავარი ახალი ამბავი იქნებოდა... ადვოკატ სოსო ბარათაშვილის თქმით, ბრალდების მხარემ დოკუმენტაციის გასაჯაროება ხმაურის ატეხვის შემდეგ გადაწყვიტა:



**ბრალდების სამი საგადასმარო შეცდომა**

— „კაბელების საქმე“ გასული წლის ზაფხულში დაიწყო, 28 ოქტომბერს კი, 5 პიროვნებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, რაც თანხის გაფლანგვას გულისხმობს, ბრალი წარედგინა. საუბარია თავდაცვის სამინისტროს ყოფილ მალაჩინოსნებზე — ნუგზარ კაიშაურზე, დავით ნიფურიაზე, გიზო ლლონტზე, გიორგი ლობჯანიძესა და არჩილ ალავეციზე, რომელთაც 30 ოქტომბერს პატიმრობა შეეფარდათ. წინასასამართლო სხდომაზე დეკემბერში დაინიშნა, თუმცა ბრალდების მხარის მოთხოვნით, ჯერ თებერვლისთვის გადაიდო, შემდეგ კი, — 1 აპრილისთვის, თუმცა სასამართლო ისევ გრძელდება. ასეთია ამ საქმის ქრონოლოგია.

თან „ნ-მილიონიანი ხელშეკრულება გაფორმდა და ეს მაშინ, როცა აღნიშნული სამუშაოს შესრულება სხვა კომპანიას 2 მილიონ ლარად შეეძლო. საბოლოოდ, ლაპარაკი 4 მილიონის გაფლანგვაზეა. როცა ამ საქმეში ჩავერთე, დავეინტერესდი, ეს აღამიანები ოდესმე თანხის განმკარგავები იყვნენ თუ არა, ასევე, იყო თუ არა საქმეში ანგარებითი მიზანი, ანუ არსებობდა თუ არა სუბიექტური მხარე, რის გარეშეც აღნიშნული დანაშაული არ მოხდებოდა. აღმოჩნდა, რომ ამ ხალხს არც ხელშეკრულება დაუდგია და მისთვის თანხა არც ვინმეს გამოურიცხავს. ასევე, მნიშვნელოვანია, ამას არც ბრალდების მხარე ამტკიცებს.

„ხელშეკრულების მიხედვით, უნდა შეეძინათ ოპტიკური კაბელების აპარატურა, რომელიც 21-წლიან, ანუ 2036 წლამდე მომსახურებას ითვალისწინებს. ბრალდების მხარემ კი ექსპერტიზაში ჩაწერა, რომ ხელშეკრულება თითქმის 2015 წლის 26 იანვარს მთავრდებოდა. არადა, ამ დროისთვის ხელშეკრულების მხოლოდ პირველი ეტაპი იწურებოდა. ამის მერე ალტერნატიული ექსპერტიზა ჩვენ ჩავატარეთ და აღმოჩნდა, რომ მომსახურება კოლოსალურ თანხას მოითხოვდა. ტერმინი „კოლოსალური თანხა“ ჩემი მოგონილი არაა, ეს კომპანია „დელტაკომის“ მიერ ნახსენები ტერმინია. ამ კომპანიას შსს და თბილისის მერია, 2014 წლის 1 იანვრიდან, კოლოსალურ თანხას — ასეულ ათასობით ლარს გაცვლით ნაკლები მოცულობის მომსახურებაში მომსახურებაში უხდიან. „სილქნეტმა“ კი, აგვისტოში მომსახურება, 21 წლის განმავლობაში, უფასოდ უნდა განახორციელოს, თუმცა ეს გარემოება ექსპერტს მხედველობიდან გამოიწია. როცა მომსახურების თანხები დავითვალეთ, სრულიად ნათელი გახდა, რომ ფული კი არ გაიფლანგა, არამედ პირიქით, მილიონობით ლარი დაიზოგა. ამ გარემოებებმა ბრალდების მხარე, პრაქტიკულად, ჩიხში შეიყვანა და ისიც გამჟღავნდა, რომ ექსპერტიზა მთელი რიგი უხეში დარღვევებით ჩატარდა.

„მივიღეთ ასეთი სურათი: ერთის მხრივ, ბრალდების მხარის ექსპერტიზის დასკვნა აღარ არსებობს, რაზეც ბრალდებაა აგებული. მეორეს მხრივ კი, არსებობს დაცვის მხარის ექსპერტიზა, რომელიც დასაშვებ მტკიცებულებებად მიჩნეული. ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ თანხა კი არ გაიფლანგა, არამედ, დაიზოგა. ამან, რასაკვირველია, ბრალდების მხარე და პროკურატურა გააღიზიანა. მათ გასაჩივრების უფლება აქვთ და ეს უფლება გამოიყენეს, მაგრამ აღმოვაჩინეთ, რომ საჩივარზე გრიფით „საიდუმლო“ დაუდვიათ, რაც იმით გააგართლეს, რომ სასამართლოს განჩინება თითქმის საიდუმლო იყო, თუმცა ეს, ცხადია, სიცრუეა. ამიტომ, პროკურატურა იძულებული გახდა, სარჩელისთვის გრიფი „საიდუმლო“ მოეხსნა და შესასწავლად დაცვის მხარისთვის გადამოცა. პროკურატურის საჩივარს, საგარეულოდ, სააპელაციო სასამართლო განიხილავს. შედეგად კი, საქმე ისევ საქალაქო სასამართლოში დაბრუნდება. წინასასამართლო სხდომაზე დაცვის მხარე ჯერ ალკვიტის ღონისძიების შეცვლის საკითხს დააყენებს, შემდეგ — საქმის შეწყვეტის. ისე, ბრალდებულთა წინასწარი პატიმრობის ვადა 28 ივნისს იწურება.“

მხარეს მოტივი არ აქვს, მაგრამ მომავალში დავადგენთ, ვის ვისთან ჰქონდა კავშირი. ეს ხომ ნონსენსია? — ადამიანებს მოტივაციის გარეშე აკავებ. აქედან გამომდინარე, სრულიად გაუგებარია ბრალდების სამართლებრივი მხარე.

რაც შეეხება ფაქტობრივ მხარეს, ხელშეკრულების მიხედვით, უნდა შეეძინათ ოპტიკური კაბელების აპარატურა, რომელიც 21-წლიან, ანუ 2036 წლამდე მომსახურებას ითვალისწინებს. ბრალდების მხარემ კი ექსპერტიზაში ჩაწერა, რომ ხელშეკრულება თითქმის 2015 წლის 26 იანვარს მთავრდებოდა. არადა, ამ დროისთვის ხელშეკრულების მხოლოდ პირველი ეტაპი იწურებოდა. ამის მერე ალტერნატიული ექსპერტიზა ჩვენ ჩავატარეთ და აღმოჩნდა, რომ მომსახურება კოლოსალურ თანხას მოითხოვდა. ტერმინი „კოლოსალური თანხა“ ჩემი მოგონილი არაა, ეს კომპანია „დელტაკომის“ მიერ ნახსენები ტერმინია. ამ კომპანიას შსს და თბილისის მერია, 2014 წლის 1 იანვრიდან, კოლოსალურ თანხას — ასეულ ათასობით ლარს გაცვლით ნაკლები მოცულობის მომსახურებაში უხდიან. „სილქნეტმა“ კი, აგვისტოში მომსახურება, 21 წლის განმავლობაში, უფასოდ უნდა განახორციელოს, თუმცა ეს გარემოება ექსპერტს მხედველობიდან გამოიწია. როცა მომსახურების თანხები დავითვალეთ, სრულიად ნათელი გახდა, რომ ფული კი არ გაიფლანგა, არამედ პირიქით, მილიონობით ლარი დაიზოგა. ამ გარემოებებმა ბრალდების მხარე, პრაქტიკულად, ჩიხში შეიყვანა და ისიც გამჟღავნდა, რომ ექსპერტიზა მთელი რიგი უხეში დარღვევებით ჩატარდა.

ის კომპანია „დელტაკომისთვის“ გადაგზავნა, იმ დროს მოქმედი „სახელმწიფო საიდუმლოებების შესახებ კანონის“ მე-20 და 21-ე მუხლების თანახმად, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის სათანადო თანხმობით უნდა მომხდარიყო, რასაც ადგილი არ ჰქონია.

რაც შეეხება მესამე დარღვევას, ის დოკუმენტები, რომლებიც ექსპერტიზის დასკვნას საფუძვლად დაედო, ექსპერტმა არც დასკვნას დაურთო და არც — საქმეს. ამიტომ, სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ ბრალდების მხარის სასაქონლო და საინჟინერო ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა დაუშვებელ მტკიცებულებად მიიჩნია.

მივიღეთ ასეთი სურათი: ერთის მხრივ, ბრალდების მხარის ექსპერტიზის დასკვნა აღარ არსებობს, რაზეც ბრალდებაა აგებული. მეორეს მხრივ კი, არსებობს დაცვის მხარის ექსპერტიზა, რომელიც დასაშვებ მტკიცებულებებად მიჩნეული. ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ თანხა კი არ გაიფლანგა, არამედ, დაიზოგა. ამან, რასაკვირველია, ბრალდების მხარე და პროკურატურა გააღიზიანა. მათ გასაჩივრების უფლება აქვთ და ეს უფლება გამოიყენეს, მაგრამ აღმოვაჩინეთ, რომ საჩივარზე გრიფით „საიდუმლო“ დაუდვიათ, რაც იმით გააგართლეს, რომ სასამართლოს განჩინება თითქმის საიდუმლო იყო, თუმცა ეს, ცხადია, სიცრუეა. ამიტომ, პროკურატურა იძულებული გახდა, სარჩელისთვის გრიფი „საიდუმლო“ მოეხსნა და შესასწავლად დაცვის მხარისთვის გადამოცა. პროკურატურის საჩივარს, საგარეულოდ, სააპელაციო სასამართლო განიხილავს. შემდეგ კი, საქმე ისევ საქალაქო სასამართლოში დაბრუნდება. წინასასამართლო სხდომაზე დაცვის მხარე ჯერ ალკვიტის ღონისძიების შეცვლის საკითხს დააყენებს, შემდეგ — საქმის შეწყვეტის. ისე, ბრალდებულთა წინასწარი პატიმრობის ვადა 28 ივნისს იწურება.

— ირაკლი ალასანია ხელისუფლების მხრიდან პროკურატურის ზეწოლაზე საუბრობს. მოსალოდნელია, რომ დაკავებულებს პატიმრობის ვადა გაუხანგრძლივონ და ახალი ბრალდება წაუყენონ?

— ამ ეტაპისთვის ახალი ბრალდების წაყენება შეუძლებელია. ღმერთმა ნუ ქნას, რომ პროვოკაცია მოუწყონ — შესაძლებლობას არც ვუშვებ.

— ხელისუფლება ირაკლი ალასანიას საქმის პოლიტიკური ზიარებაში ადანაშაულებს. პოლიტიკური განცხადებები „კაბელების საქმეზე“ ზეგავლენას მოახდენს?

— ვთვლი, რომ სასამართლო პროცესი ობიექტურად მიმდინარეობს — ორივე მხარეს მიეცა შესაძლებლობა, მტკიცებულებები წარედგინათ...



საქრებულო  
საქართველო  
საქართველოს  
საქართველოს

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“

კარგე ღვინო

საბრტული სკანდალი

# „საზოგადოებრივი მათყვანებელი“ სანდრო ცნობილას სამსახურიდან გაშვების დოკუმენტს არ აძლევს!

თბილისში, 13 ივნისს მომხდარ ტრაგედიაზე, ყველაზე აქტუალური სპორტული კომენტატორი სანდრო ცნობილაძე, მისი შეცდომა და ამ მიზეზით „საზოგადოებრივი მათყვანებელი“ მისი გათავისუფლება იყო. შეცდომა კი, მართლაც, საკმარისი არ იყო – საქართველოსა და პორტუგალიის (U-19) ნაკრებების ერთმანეთში არევა გახლდათ. საერთოდ, უშეცდომოდ მხოლოდ ისაა, ვინც უმოქმედოა... ჩემი აზრით, შეცდომა ადამიანური ხიბლია... რითი ხსნის სანდრო ცნობილაძე თავის შეცდომას? რატომ არააინ გავადრთხილა ამ იაღლიშის შესახებ და აქვს თუ არა ყველაფერ ამას პოლიტიკური ელფერი? – „ქართული სიტყვა“ სანდრო ცნობილაძეს ესაუბრა.



– სანდრო, არ გეტყობა, რომ გუშინ სამსახურიდან გამოგიშვეს...

– ჰო, არ ვნერვიულობ, ან რატომ უნდა ვინერვიულო? ძალიან ბევრი ადამიანისა და ორგანიზაციის მხრიდან დიდი მხარდაჭერა ვიგრძენი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და, უბრალოდ, მორალური უფლება არა მაქვს, ცუდად ვიყო, მით უფრო, რომ „ჯაკო FM“-ში ვმუშაობ.

– შენს შეცდომას რითი ხსნი?

– სამწუხაროდ, ვერ ვხსნი. ამ ამბიდან, დაახლოებით, 48 საათის განმავლობაში ვცდილობდი, ჩემი ქმედება ამეხსნა, თუმცა უშედეგოდ. ახსნა-განმარტებით ნერვიულ ვიქნებოდი, რომ არავის და არავის ზემოქმედების ქვეშ არ ვყოფილვარ. ადამიანი ხანდახან ითიშება... ხდება ასეთი რაღაცეები.

– რეპორტაჟის მიმდინარეობისას, ზურგს საკმაოდ დიდი ჯგუფი გიმხარგრებს. რატომ არაინ გითხრა, რომ გუნდები აგერია?

– მეც იგივე ვითხრა მან უნებ, თუმცა პასუხი არც ამაზე მაქვს. დავით მინაშვილი შემოვიდა და მითხრა, საქმე რაშიც იყო, მაგრამ ეს რამდენიმე წუთის შემდეგ მოხდა.

– სანდრო, იქნებ, შენი პოლიტიკური შეხედულებების გამო ავითვალნ უნეს და ეს შემთხვევა, უბრალოდ საბაბი იყო? – სოციალური ქსელით, მთავრობას ხშირად აკრიტიკებ...

– ამ შეკითხვას ვერ ვუპასუხებ, რადგან ჩემი სამსახურიდან გათავისუფლების იურიდიული ფორმულირება, დოკუმენტის სახით, ჯერ არ მიმიღია და რა ვიფიქრო, ესეც არ ვიცი. რაღაც არსებითი ხომ უნდა იყოს, რომ დასკვნა გავაკეთო?

– შენსა და „საზოგადოებრივი მათყვანებელი“ შორის არსებულ ხელშეკრულებაში წერია, სამსახურიდან რა შემთხვევაში შეიძლება, გაეშვი?

– არა, ერთწლიან ხელშეკრულებას აფორმებენ და ამ დროის განვლის შემდეგ, უფლება აქვთ, გაგიშვან. იურიდიულად, ჩემი გათავისუფლების მიზეზი არ ვიცი და ამიტომ პასუხი ამ შეკითხვაზეც არ მაქვს.

– ამ მრავალჯერანსხვებ დოკუმენტს და, შესაბამისად, იურიდიულ ფორმულირებას რატომ არ ითხოვ?

– მე რატომ უნდა მოვიტხოვო? ისინი არიან ვალდებული, რომ დოკუმენტი ჩამაბარონ. ჩემი გათავისუფლების ფორმას ვაპროტესტებ, მაგრამ კარს არავის ჩამოგოვლებ. დოკუმენტის შედგენა და გადმოცემა მათი ვალდებულებაა.

– როგორ გაიგე, რომ „საზოგადოებრივი მათყვანებელი“ აღარ მუშაობ?

– მეგობრებმა ტელეფონით შემატყობინეს...

– არც ის იცი, შენი გათავისუფლების გადაწყვეტილება ვინ მიიღო?

– გადაწყვეტილება სადისციპლინო კომიტეტმა მიიღო, რომლის სხდომასაც არ ვესწრებოდი, არადა, ჩემი აზრით, ჩემი იქ ყოფნა აუცილებელი იყო. ჩემს ქმედებას, რა თქმა უნდა, რეაგირება უნდა მოჰყოლოდა და საბჭოც სრულიად ლეგიტიმური მოტივით შეიკრიბა, მაგრამ განაჩენი ჩემი ახსნა-განმარტების საფუძველზე გამოიტანა.

– შენი მხარდამჭერების აქტიურობამ „საზოგადოებრივი მათყვანებელი“ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია...

– არ ვიცი, „საზოგადოებრივი მათყვანებელი“ მხარს ტელევიზიის თანამშრომლებიც მიჭერდნენ, თუმცა ქართველი სპორტული ჟურნალისტების მიერ ორგანიზებული შეკრებებს, რომლებიც ჩემს მხარდასაჭერად ჩატარდა, „საზოგადოებრივი მათყვანებელი“ ერთი წარმომადგენელიც არ ესწრებოდა.

– ხომ არ ფიქრობ, რომ თანამშრომლები ამ შეკრებებზე დირექტორის დირექტივით არ მოვიდნენ?

– სპორტული რედაქციის წევრები მხარში დამიდგნენ და ამას ვერ უარყოფ. მეც ვერავის მოვთხოვ, ეს ადამიანების კეთილი ნებაა.

– შენს გარდა, კიდევ ვინმეს სამსახურიდან გაშვების შესახებ ვიცი, იურიდიული თვალსაზრისით, რა პასუხისმგებლობა დამაკისრებს, თან მათთან კომუნიკაცია არ მაქვს.

– სანდრო, ესე იგი, შენს გათავისუფლებას პოლიტიკურ კონტექსტში არ განიხილავ? ისე, სამსახურიდან მხოლოდ შენ გაგიშვეს, არადა, შეცდომა, მე თუ მკითხავ, მთელი „საზოგადოებრივი მათყვანებელი“ ბრალი იყო...

– მხოლოდ არსებული ხელისუფლების ოპონენტი არ ვარ, თავის დროზე იმასაც ვაკრიტიკებდი, რაც არასწორად მიმაჩნდა. ამიტომ, ჩემი მდგომარეობის ანალიზს პოლიტიკური კუთხით ვერ დავინყებ, ბოლოს და ბოლოს, ერთი ჩვეულებრივი მოქალაქე ვარ.

– ხელისუფლებას „საზოგადოებრივი მათყვანებელი“ გაუგებია აქვს?

– მხოლოდ კონკრეტულ საქმეს ვაკეთებდი – კომენტატორი ვიყავი და სამსახურში რეპორტაჟამდე რამდენიმე საათით ადრე მივედი. ამიტომ, განყოფილების სარედაქციო პოლიტიკაში ჩახედული არ ვარ. მართლა არ მაქვს წარმოდგენა, ამ კუთხით „საზოგადოებრივი მათყვანებელი“ რა ხდებოდა.

– ე.წ. შერჩევითი სამართლის მსხვერპლი ხომ არ ხარ?

– ვიცოდი, რომ ეს ამბავი მარტივად არ დასრულდებოდა. უხეშად რომ ვთქვა, სიტუაცია დავტესტე... როცა შეცდომა დავეშვი, სოციალურ ქსელში ბევრი ადამიანი მამხვენებდა, ის კი, რაც, სამსახურიდან გამოშვებას მოჰყვა, თავად ხედავ. არ ვიცი, ხელმძღვანელობამ რა განსაზღვრა და რა – არა. ფაქტი ერთია: საფეხბურთო კლუბები მხარს უკვე ოფიციალურად მიჭერენ და ეს ძალიან მნიშვნელოვანია!

– „პირველი არხის“ სახე იყავი, ამიტომ BBC-ზე შენი გაშარება, მთლიანად ტელევიზიის რეპუტაციაზე არ მოქმედებს?

– ამ შეკითხვის ადრესატი უფრო „საზოგადოებრივი მათყვანებელი“ა. BBC-ზე რაღაც წერილი შემიძლია, მეც გავაგზავნი და იმაზე, რომ სამსახურიდან გაშვების დოკუმენტს არ მაძლევენ და სრულიად უც...

**გახდა თუ არა ცნობილი კომენტატორი პოლიტიკური ანგარიშსწორების მსხვერპლი**

„გადანწყვეტილება სადისციპლინო კომიტეტმა მიიღო, რომლის სხდომასაც არ ვესწრებოდი, არადა, ჩემი აზრით, ჩემი იქ ყოფნა აუცილებელი იყო. ჩემს ქმედებას, რა თქმა უნდა, რეაგირება უნდა მოჰყოლოდა და საბჭოც სრულიად ლეგიტიმური მოტივით შეიკრიბა, მაგრამ განაჩენი ჩემი ახსნა-განმარტების საფუძველზე გამოიტანა...“

ერემონიოდ მათავისუფლებენ, ბლოგი დაიდოს, „საზოგადოებრივი მათყვანებელი“ უფრო დამძიმდება.

– შანსი რომ გქონდეს, „პირველ არხზე“ დაბრუნდები?

– ფორმას გააჩნია. თუ იმ დოკუმენტში სამსახურიდან გაშვების მიზეზად ჩანერენ, რომ უიცი ვარ, მაშინ, რა თქმა უნდა, არ დავებრუნდები. TVS-თან საუბრისას „საზოგადოებრივი მათყვანებელი“ გენდირექტორმა თქვა, რომ კარგი პროფესიონალი ვარ და მომავალში ჩემთან თანამშრომლობას არ გამოირიცხავს.

– „საზოგადოებრივი მათყვანებელი“ ხალხის მოთხოვნებზე უფრო მეტად უნდა რეაგირებდეს, ვიდრე – სხვა ტელევიზიები. არ ფიქრობ, რომ ეს მხარდამჭერი შეკრებები და პეტტიციები შედეგს გამოიღებს?

– გეთანხმები, „პირველი არხი“ ხალხის მოთხოვნას უნდა ითვალისწინებდეს, ამიტომაც არ დავმალავ, რომ შექმნილი ვითარებით ძალიან გახარებული და კმაყოფილი ვარ. მხარდამჭერის მასშტაბი აუცილებლად გაიზარდება. ისე, სპორტული ჟურნალისტები საკმაოდ დაუფასებლები ვართ, ცოტა ხნის წინ, TVS-დან ჩემი მეგობრები გამოუშვეს... სპორტი ძალიან დიდი ფუფუნებაა – სპორტის გაშუქება თითქმის ყველა კომერციულ ტელევიზიის უჭირს, რადგან დიდი ფინანსებთან ასოცირდება.

ესაუბრა ღვინო ბალაშვილი

## სტოპკადრი

პანკისის ხეობაში 14 ივნისს, სპეცოპერაციის დროს დაკავებული ქისტები გაათავისუფლეს, მათ შორის „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ლიდერის, თარხან ბათირაშვილის, იგივე ალ-შიშანის ბიძაშვილი მერაბ ცაბთაშვილი.

არსებული ინფორმაციით, ამ დრომდე პატიმრობაში რჩება სოფელ ჯოყოლოს იმამი აიუფ ბორჩაშვილი.

პანკისის ხეობის ოთხ სოფელში, ჯოყოლოში, ბირკიანში, ომალოსა და დუმასტურში სპეცოპერაცია 14 ივნისს, დაახლოებით 18:00 საათისთვის ერთდროულად დაიწყო. ადგილობრივების თქმით, მიმდინარეობდა სახლების ჩხრევა და პირადი ნივთების ამოღება.

თბილისის მერიის ინიციატივით, ზოოპარკი თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე გადავიდა, – ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა.

თბილისის ზღვის მიმდებარე, ახალი ზოოპარკის პროექტის ერთ-ერთი სავარაუდო დიზაინი უკვე ცნობილია. პროექტის ავტორების თქმით, აღნიშნული ზოოპარკი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი იქნ...

## პანკისის ხეობაში დაკავებული ქისტები გაათავისუფლეს

სამართალდამცველებმა ჩხრევა ომარ ალ-შიშანის მეგობრის, ჯოყოლა აჭიშვილის სახლშიც ჩაატარეს. პანკისის ხეობაში მიმდინარე სპეცოპერაციის პარალელურად, თბილისში მცხოვრები ქისტებიც დაიკითხნენ.

არსებული ინფორმაციით, პანკისში ჩატარებული სპეცოპერაცია, ხეობიდან სირიაში ახალგაზრდების წასვლას უკავშირდება.


„ინტერპრესნიუსი“

## ახალი ზოოპარკი თბილისის ზღვისთანავე

გება, რომელიც წელიწადში 1.5 მილიონ მწახველზე მეტს მოზიდვას შეძლებს.

„პირველი რადიო“





საქრებულო  
საქრებულო

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“

კარგა ჯანაძე

### სილაგაზის გაკვეთილები

არავინ იცის, საიდან მოდის, ან საით მიდის სილაგაზი... ალბათ, ამიტომაცაა, რომ ადამიანები სილაგაზისთვის მსხვერპლს ვიღებთ... ზოგი იმასაც ამბობს, რომ სილაგაზზე ფუფუნებაა, რომელთან ზიარების უფლებაც მხოლოდ „ამა სოფლის ძლიერთ“ აქვთ, თუმცა ამ შეხედულებას კლინიკა „თალიზის“ ხელმძღვანელი, ესთეტიკური მედიცინის ამერიკული აკადემიის პროფესორი, თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო და აზიის ასოციაციების წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წილოსანი რადიკალურად ემიჯნება და ამბობს რომ „თალიზის“ პაციენტები მხოლოდ მდიდრები კი არა, ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან. დიახ, თუკი სიმელოტემ შეგანუხათ და ღიმილი მოგენტრათ, რა მნიშვნელობა აქვს, მდიდარი ხარ თუ ღარიბი? – მთავარია, მონდომოთ და „თალიზის“ ოქროსხელეა დასტაქრები ნამდვილ პოლიფუნქციურ ვარსკვლავად გაქცევენ, თან ისე, რომ ეს გაფარსკვლავება 1000-დან, მაქსიმუმ, 5000 ლარამდე დაგიჯდებათ, ანუ ყველაფერი, როგორც იტყვიან, თქვენს სიმელოტეზეა დამოკიდებული – ერთი გრაფტი (თმის 1-4 ძირი) ლარანახევარი ღირს... მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ამერიკიდან, „ქართული სიტყვა“ თმის ტრანსპლანტაციისა და კლინიკა „თალიზის“ სიახლეებზე გაიმბობთ ხოლმე.

ფლიოს ყველა კონტინენტსა და ქვეყნიდან ჰყავს – დანყებულ კანადა-კორეიდან, დამთავრებული ფინეთსა და სამხრეთ აფრიკით.

სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ, „თალიზს“ გაგრამი მცხოვრები აფხაზი ეწვია, რომელიც ომის დროს „ბოევიკი“ ყოფილა და „ბე-ემ-პე“-ში აფეთქებულა. შესაბამისად, დამწვრობის შედეგად ნაწიბუროვანი ალოპეცია დაემართა. თურმე, სანკტ-პეტერბურგში ექსპანდერით მკურნალობას ცდილობდნენ, მაგრამ თმა ვერ გადაუნერგეს. „თალიზმა“ კი, აფხაზს ღიმილი დაუბრუნა...

– თმის ტრანსპლანტაცია ამერიკული,



ასე ვთქვათ, ბრენდია? – ვეკითხები აკაკი წილოსანს.

– ასე ითვლება, თუმცა სინამდვილეში, თმის გადანერგვის მამა იაპონელი სოჯი ოკუდაა, – მპასუხობს მსოფლიოში აღიარებული დასტაქარი, – ოკუდამ თმის გადანერგვა 1939 წელს დაიწყო და თმას, სხვათა შორის, დამწვარ სხეულში ნერვავდა, მაგრამ ეს ტრადიცია დაიკარგა და მოგვიანებით, ამერიკელმა ნორმან ორიენტრანსმა თმის გადანერგვა ანდროგენული ალოპეციის დროს ხელახლა დაიწყო... დღემდე ჩემი ბევრი კოლეგა თვლის, რომ ნაწიბურში თმის გადანერგვა არ ამართლებს, ან გადანერგული თმა ცუდად იზრდება, რადგან ნაწიბურში სისხლმომარაგება დაქვეითებულია, რაც გრაფტების შეზოგადება-გახარებას ხელს უშლის, მაგრამ 834-მა ნაწიბუროვანი ალოპეციის შემთხვევამ საწინააღმდეგო დაამტკიცა. ისე, ნაწიბუროვანი ალოპეცია შეიძლება, ოპერაციის შემდეგაც განვითარდეს. ნაწიბურის მიზეზი, ასევე, შეიძლება, ტრავმა ან დამწვრობა გახდეს.

როგორც აკაკი წილოსანი ამბობს, ნაწიბუროვანი ალოპეციის დროს, ადამიანს ნაწიბურის გარშემო თმის ძალიან მაღალი სიხშირე აქვს. სწორედ ამიტომაც, ასეთი პაციენტები, თურმე, უკეთეს პაციენტებად ითვლებიან... გადანერგული თმა, თურმე, სარეველასავითაა – ყველგან ამოდის.

„ვანო, იცი, როგორაა? – ვაზისთვის კარგი ნიადაგია საჭირო, სარეველა კი, ნები-სმირ ნიადაგზე მოდის. თმაც ასეა: მამაკაცური ალოპეციის დროს, გადანერგული თმის ძირები დასუსტებულია და მათი გახარებისთვის კარგი ნიადაგია საჭირო. ნაწიბუროვანი ალოპეციის დროს კი, პრობლემის მიზეზი დამწვრობაა და ამიტომ გადანერგული თმა თითქმის 100 პროცენტითაა სიცოცხლისუნარიანი“, – მაკვალანებს აკაკი წილოსანი.

– თმის გადანერგვა სხეულის სხვა ადგილებიდან ან, სულაც, სხვა ადამიანიდან შეიძლება? – ვინტერესდება.

– სხეულის სხვა ადგილებიდან, მაგალითად, წვერიდან, გულმკერდიდან მაშინ ვნერგავთ, როცა კეფაზე თმა არაა.

სხვისი თმის გადანერგვა კი არ შეიძლება, რადგან კანზე ადამიანს ძალიან ძლიერი იმუნური პასუხი აქვს...

– თმა შეიძლება, ბავშვსაც გადაუნერგოთ? – არ ვეშვები.

– კი, რა თქმა უნდა...

აი, ასე: თმის ტრანსპლანტაციის ქართული გურუ, რომელმაც სახელი მთელ მსოფლიოში გაითქვა, ამბობს, რომ თმის გადანერგვა ფუფუნება კი არა, უბრალოდ, ახალ-აზრდობის შენარჩუნებაა. ასე რომ, თუკი კეპი, ანუ სიმელოტე ნერვებს გიშლით, ბევრი აღარ იფიქროთ – კლინიკა „თალიზს“ ესტუმრეთ და აკაკი წილოსანი, თავის გუნდთან ერთად, ცხოვრების ხალისს დაგიბრუნებთ!

ვანო აპვლიაშვილი

### აკაკი წილოსანი – თმის ინჰლანტაციის ქართული გურუ კლინიკა „თალიზიდან“



როგორც აკაკი წილოსანი განმარტავს, ყველაზე გავრცელებული სულ სამი სახის სიმელოტე, ესე იგი, მედიცინის ერთ-ერთი ვთქვათ, ალოპეცია არსებობს – ანდროგენული, ტრანსციული და ნაწიბუროვანი. სამივეს სამკურნალოდ ერთადერთი რადიკალური საშუალება სწორედ გადანერგვაა.

ანდროგენული ალოპეცია, როგორც წესი, მამაკაცური, ასე ვთქვათ, დაავადებაა და ამ დროს პაციენტს თმა ბუნებრივად მხოლოდ კეფაზე არ სცვივა. ტრანსციული ალოპეციის მთავარი მიზეზი თმის ძირების მოქაჩვა, ანუ არასწორი დავარცხნაა. ნაწიბუროვანი ალოპეცია კი, შეიძლება, გამონეული იყოს დამწვრობით, ჭრილობით, ან ტრავმით – ამ დროს სკალპის თმიანი ნაწილი ნაწიბურით ჩანაცვლდება, სადაც თმა, თუ არ გადაინერგა, აღარ ამოდის.

„ალარავინ კამათობს, რომ გადანერგვა მამაკაცური თმის ცვენის, ანუ ანდროგენული ალოპეციის სამკურნალოდ საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ მთავარია, ერთი ოპერაციით თმის მაღალი, ესე იგი, ბუნებრივი სიხშირე მივიღოთ. ამ კუთხით წლები ვიმუშავეთ, მიკროსკოპული ტექნიკა დაგვევენთ, მონალისებზე კვლევებს ვატარებდით – ერთ კვადრატულ სანტიმეტრში გრაფტების, ანუ თმის ძირების ჩანერგვის სიხშირეს ვზრდიდით. მასსოვს, 45 გრაფტით დავინწყეთ, მერე იყო – 64, 72... 2008 წელს კი, ერთ კვადრატულ სანტიმეტრში 100 გრაფტს მივაღწიეთ, რაც ბუნებრივ სიხშირეზე 30 პროცენტით მეტია. ეს, პრაქტიკულად, რეკორდული მაჩვენებელია, რადგან მანამდე საუკეთესოდ კანადელების შედეგი – ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე 72 გრაფტი ითვლებოდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ჩვენს მეთოდში სიცოცხლისუნარიანობა 92 პროცენტია, რაც ძალიან მაღალ მაჩვენებელად ითვლება“, – ამბობს კლინიკა „თალიზის“ ხელმძღვანელი აკაკი წილოსანი, რომელსაც პაციენტები მსო-



### შეიძლება თუ არა დამწვარ და ნაჭრილობებ კანზე თმის გადანერგვა





„შენ – უკუდავების ჩამონადენო, მშენებელი ხარ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგე ღონისძიება

საჭირო ნივთი


საქმე, რომელიც ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს ახლახან, საზოგადოებამ შპს „გამომცემლობა საქართველოს“ მიერ მაღალ დონეზე დასტავებული ანზორ ბაბუხაძის ორიგინალური და უაღრესად აქტუალური წიგნი-ალბომი – „დაიხ, საქართველო არის ესე“ მიიღო. წიგნი განხილულია ჩვენი ქვეყნის სახელწოდების – „საქართველო“ დამკვიდრების აუცილებლობა საერთაშორისო დონეზე. 25 საუკუნეზე მეტი ხნის წინ, ქართველი ხალხის უღირსეულესი წინაპრების – ქუჯისა და ფარნავაზის ბრძნული გადაწყვეტილებით, „იბერიისა“ და „ეგრისის“ სამეფოები ერთ ქვეყნად გაერთიანდნენ და მას „საქართველო“ ეწოდა. აქედან გამომდინარე, განა დრო აღარაა, ჩვენს ქვეყანას მსოფლიო ხალხების ყველა ენაზე ეწოდებოდეს მისი ღირსეული, ისტორიული სახელი „საქართველო“ და არა – „გრუზია“, „გურჯისტანი“, „ერასტანი“, „ჯორჯია“ და ა.შ. საბჭოთა კავშირის დროს, ამ პრობლემაზე მსჯელობა შეუძლებელი იყო. ახლა კი, რა უნდა გვიშლიდეს ხელს, რომ ეს დიდა აღსრულდეს? – ამ კითხვით მივმართეთ პროფესორებს: მერაბ გელოვანს და გოგი დოლიძეს.

მერაბ გელოვანი: „– ბატონი ანზორის მცდელობა, აღმოფხვრას საქართველოს მიმართ მრავალი უცხოური სახელი და დაამკვიდროს მისი ერთადერთი და მართებული შესატყვისი – „საქართველო“, ფრიად საყურადღებო და მნიშვნელოვანია.

აღამიანების სულიერ თანამეგობრობაში, რომლის გვირგვინს ერი და ეროვნება წარმოადგენს, არის ერთი სპეციალი – ენა, რომლითაც ისინი ერთმანეთს საუკუნეების განმავლობაში უკავშირდებიან და უგებენ. დროთა განმავლობაში, ეს ენა ქმნის ერთიან სულიერ ყალიბს – მონოლიტს, რომელიც „არც ცხადი ძალით წაირთმის, არც ძალის მოიპარებს“. აკი, ამბობდა ნიკო მარი, თავისი თვისებით ქართული ენა მსოფლიო ენაა და მართლაც, ასეა. თუ ის მსოფლიო ენაა და ამის ყველა საბუთი და ნიშანი გაგვანჩნია, მაშინ მსოფლიოს ენებზე მისი მკვიდრი სახელწოდება „საქართველო“ არ უნდა ინვესტირდეს უხერხულობის განცდას. „საქართველო“ ქართული სულის დინება ყველაზე ძალუმად გამოხატა, იდინა, იდინა და დღემდე მოაღწია; მოვიდა თვითმყოფადი ბუნებით და ყველაზე მეტად განსაზღვრა ერის თვითმყოფადობა. თავისი ისტორიით, მან ქართველი ერის ერთიანი ისტორიული ყოფიერების არსებითი როლი შეასრულა. ეროვნული ცნობიერება ხომ ცხოვრების, ისტორიული რეალობის ნიაღვრა ჩაფლულა და სულისშიერ აღქმასა და, იმავდროულად მკაცრ რაციონალურ ჩარჩოებს დაქვემდებარებული.

რამდენადაც „საქართველო“ ქართულ ენაზე ეწოდა ჩვენი სამშობლოს და მას განსაკუთრებული ადგილი მიუჩინა უპირველეს სახელწოდებაში, რათა ხაზი გაუსვას სახელმწიფოებრივ ერთიანობას, აუცილებლად მიგვანჩნია, დაკანონდეს მოცემული საკუთარი გეოგრაფიული სახელი დანარჩენი მსოფლიოსათვის ამავე სახით. ეს დროსა და სივრცეში, რა თქმა უნდა, გარკვეულ მანძილს გულისხმობს, მაგრამ, აბა, „უეკლოდ ვარდი ვის მოუკრეფინა“?

გოგი დოლიძე: „– საგულისხმოა, რომ ამ ინიციატივას მხარი ერთ-ერთმა პირველმა, ჩვენ, საქართველოს ეროვნული გმირის, „ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის“ წევრებმა დაუჭირეთ... ნიგნის ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თავდაუზოგავი შრომით შეძლო ისეთი ავტორიტეტების გამოხმაურებების მოპოვება, როგ-



იუბილე მარადიული



გრიგოლ აბაშიძე 100 წლისაა

მე ის დღე მახსენდება, როცა საბჭოთა მტრები საქართველოს მშობლიურ ენას არ-თმევდნენ. აი, მაშინ ვინც გვერდით დაუდგა საქართველოს, ის იყო ჭეშმარიტად დიდი მამულიშვილი!

იმ დროს გამორჩეული შემოქმედი და, ვიტყვოდი, გვირგვინოსანი მამულიშვილი იყო გრიგოლ აბაშიძე. მისმა სიტყვებმა შე-სძრა მთელი საქართველო. ედუარდ შევარ-დნაძემ კი, ქართველი ხალხი დააიმედა და უთხრა, არ შეშინდ, საქართველოს ვერ წა-ართმევენ მშობლიურ ენასო.

დღეს ვისხენებ, რომ ორმა პიროვნებამ გადაარჩინა ჩვენი ენა, მშობლიური ენა ქარ-თული.

გრიგოლ აბაშიძე, მართლაც, ჩვენი ცხოვრების ოქროს ვენახი იყო და დარჩება! დიდება მის სახელს!

„შენ ჩემთვის მზე ხარ ამომავალი, სულის სიმალევე, გულის ნათელი, არის ლამაზი მხარე მრავალი, მაგრამ არ არის სხვა საქართველო!“

ზანსუღ ჩარკიანი

სტოკპადრი

საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მო-ადგილე ლევან ბოძაშვილი უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე დაინიშნა.

ლევან ბოძაშვილი 2014 წლიდან სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ტერიტორიული მოწყობის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელია.

2014-2015 წლებში მუშაობდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს უფროსის თანამდებობაზე.

2012 წლის ოქტომბრიდან არის ნიუ-იორკის ფორდჰემის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მიწვეული პროფესორი და მკვლევარი. კითხულობს ლექციებს შედარებით კონსტიტუციურ სამართალში. 2006 წლიდან დღემდე აკადემიური საქმიანობა მოიცავს ლექციების კურსებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტსა და საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (ჯიპა) კონსტიტუციურ სამართალში, ევროპული კავშირის სამართალსა და საგარეო ურთიერთობებში. დიპლომატიურ და საკონსულთრო სამართალში, კიბერსამართალში.

ლევან ბოძაშვილი წლების განმავლობაში მუშაობდა სამართლებრივ და დიპლომატიურ სფეროებში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში, კერძოდ, ევროკავშირში სამართლებრივ მრჩეველად, სადაც მიღებული აქვს ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის საგარეო ურთიერთობებში ჰაიკერ სოლანას უმაღლესი შეფასების ჯილდო და წერილობითი მადლობა. ასევე მუშაობდა, გაეროსა და ეუთო-ში, ევროპის საბჭოსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სტრასბურგში. იყო ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის წევრი 2004-2008 წლებში.

2005-2009 წლებში იყო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ევროკავშირისა და

- საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, ყველა ის პირი, რომელიც თბილისის მერიის მიერ მიწოდებული სიის თანახმად, 2015 წლის 14 ივნისის სტიქიით დაზარალებულია, უფასოდ აღადგენს, ან უფასოდ აიღებს საბუთებს. იუსტიციის სამინისტრო ამ საბუთების ჩამონათვალსაც ავრცელებს: ა) პირადობის მოწმობა (დაჩქარებული იმავე დღეს); ბ) ბიომეტრიული პასპორტი (აღდგენა); გ) ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი; დ) ბინადრობის მოწმობა (დაჩქარებული იმავე დღეს); ე) პირადობის ნეიტრალური მოწმობა; ვ) დაბადების მოწმობა (აღდგენა, დაჩქარებული იმავე დღეს); ზ) ქორწინების/განქორწინების მოწმობა (აღდგენა, დაჩქარებული იმავე დღეს); თ) გარდაცვალების მოწმობა (დაჩქარებული იმავე დღეს); ი) ცნობა შეილად აყვანის რეგისტრაციის შესახებ (აღდგენა, დაჩქარებული იმავე დღეს); კ) ცნობა სახელის, გვარის შეცვლის რეგისტრაციის შესახებ (აღდგენა, დაჩქარებული იმავე დღეს);

უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ ლევან ბოძაშვილი დაინიშნა

ორმხრივი ევროპული მიმართულების კოორდინაციის სფეროში, ევროპულ საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი, მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე და საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანჩ ავსტრიასა და ვენაში აკრედიტებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში. საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის დირექტორი და სახელმწიფო წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში იუსტიციის სამინისტროში 2003-2004 წლებში. სამსახურებრივი სტაჟირებით იმყოფებოდა აშშ უზენაეს სასამართლოში 1996-1997 წლებში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში სხვადასხვა თანამდებობებზე.

2005-2009 წლებში იყო დელეგაციის ხელმძღვანელი და აწარმოებდა ორმხრივ პოლიტიკურ კონსულტაციებს და მოლაპარაკებებს დიდ ბრიტანეთთან, საფრანგეთთან, ბელგიასთან, შოლანდიასთან, შვეიცარიასთან, საბერძნეთთან, თურქეთთან, ირლანდიასთან, ჩეხეთთან. ასრულებდა ელჩის მოვალეობას ეუთოსა და ვენაში აკრედიტებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომლის ფარგლებშიც მიჰყავდა მუდმივი საბჭოსა და გაეროს- ორგანოების სხდომებში. არის გაეროს ადამიანის უფლებათა ექსპერტი და იყო გაეროს განვითარების პროგრამების დირექტორი.


„ინტერპრესნიუსი“

სტიქიით დაზარალებული დოკუმენტაციას უფასოდ აიღებენ

ლ) ცნობა მამობის დადგენის რეგისტრაციის შესახებ (აღდგენა, დაჩქარებული იმავე დღეს); მ) საქართველოს მოქალაქეობის დადასტურება; ნ) ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების არარსებობის შესახებ ცნობა; ო) ფოტოსურათის საფასური; პ) ატესტატის დუბლიკატი. გასაცემი სერვისების მიხედვით, სტიქიით დაზარალებულ პირთა მომსახურებისთვის სპეციალური ადგილები გაიხსნა. ამ ადგილებში დაზარალებული პირები მიიღებენ დეტალურ კონსულტაციას ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ხოლო სამოქალაქო რეესტრის მიმართულებით ყველა შემოწამოთვლილ საბუთს უფასოდ აიღებენ, ან აღადგენენ. იუსტიციის მინისტრის ბრძანება ძალაში 2015 წლის 1 სექტემბრამდე იქნება.

„ინტერპრესნიუსი“

ვილენ მარადიუნი



საქართველოს სახელმწიფო ჟურნალი

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებას სომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე!“

კონსტანტინე კვინიტაძე

თბილისის განადგურებული ზოოპარკის ისტორია

13 ივნისის ტრაგედია ქართულ საზოგადოებას დიდხანს ემახსოვრება... სტიქიამ 12 ადამიანი იმსხვერპლა. ამასთან, პირისაგან მინისა აღგავა თბილისის ზოოპარკი, რომელიც 1927 წელს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის დადგენილებით დაარსდა. როგორც „ამბები.გე“ წერს, ზოოპარკის მოსაწყობად მდინარე ვერეს ხეობაში 70-მდე ჰა (შემდეგ 120-მდე) მინის ნაკვეთი გამოიყო. თავდაპირველადვე გათვალისწინებული იყო მხარეთმცოდნეობის, ფაუნის, ეგზოტიკური, სასოფლო-სამეურნეო, ცხოველთა განყოფილებების ამუშავება.

ზოოპარკის გენერალური გეგმის შედგენაზე მუშაობდნენ: მოსკოვის ზოოპარკის სამეცნიერო-კვლევითი ნაწილის ხელმძღვანელი, პროფესორი მანტიფელი, მაშინდელი ლენინგრადის ზოოპარკის არქიტექტორი სტეპანოვი და ქართველი მეცნიერები – ჩხიკვიშვილი და ჯანაშვილი.

თბილისის ზოოპარკში წარმოდგენილი იყო კავკასიისთვის დამახასიათებელი და ენდემური სახეობები: ჯიხვი, ნიამორი, არჩვი, ირემი, შველი, კოლხური ხოხობი, კავკასიური როჭო, კავკასიური შურთხი. დაარსებისთანავე, ანუ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში, თბილისის ზოოპარკში ჯიხვისა და შინაური თხის ჰიბრიდი – ჯიხვთხა; ასევე, ზებრისა და თუშური ჯიშის ცხენის ნაჯვარი – ზებროიდი მიიღეს.

თბილისის ზოოპარკში მაიმუნების ფსიქიკასა და სხვა თავისებურებებს აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი სწავლობდა. 1931 წელს, ზოოპარკში პარაზიტოლოგიის ლაბორატორია დაარსდა. ასევე, შეიქმნა ზოოლოგიური მუზეუმი. 1934-1944 წლები, როცა ზოოპარკს განსონი ხელმძღვანელობდა, თბილისის ზოოპარკის აღმავლობის პერიოდად ითვლება...

1935 წელს, ზოოპარკში ბიოლოგიური სადგური დაარსდა, რომელიც 1938 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა. უდიდესი ყურადღება ექცეოდა ზოოპარკის ბინადართა ჰიგიენას, კვებასა და რეჟიმს, მათ მკურნალობას, გამრავლებას, განსაკუთრებით, ბენჯიანი ნადირების მოშენებას.

1936 წელს, ჯანაშვილის რედაქციით, თბილისის ზოოპარკის პირველი გაზეთი გამოიცა.

1938 წელს, თბილისის ზოოპარკში მოსკოვიდან პირველი სპილო – 3 წლის სპლიყვი, ასევე, შიმპანზე, ბეჰემოთი, ავსტრალიური და ამერიკული სირაქლეები, თუთიყუშები, ავსტრალიური შავი გედები ჩამოიყვანეს, რაც იმდროინდელი ზოოპარკის ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო. ამ ფაქტის გამო მთელი ქალაქი აფიშებით გახლდათ აჭრელებული, რომლებიც თბილისელებს ახალი მობინადრეების შესახებ ამცნობდა.

თბილისის ზოოლოგიური პარკის მეცნიერმუშაკები მუდმივად ანარმობდნენ დაკვირვებას ფრინველებსა და ცხოველებზე, რის შედეგადაც აქვეყნებდნენ სამეცნიერო ნაშრომებს.

1993-1994 წლებში, თბილისის ზოოპარკი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა – სამოქალაქო ომის დროს იქაურობას ყურადღებას აღარავინ აქცევდა. შესაბამისად, ბევრი ცხოველი შიმშილისგან მოკვდა და ზოოპარკის თანამშრომლები იძულებულნი ხდებოდნენ, ერთი მკვდარი ცხოველით, მეორე გამოეკვებათ...

არა-ჩვეულებრივი გვირდი



THE FIRST ZOO





„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვაც“

კარგო ღონისძიება

## არა-ჩვეულებრივი გვირდი



### ნიკოლაი ბასკოვის ბრილიანტის ხელთათმანი არშემს

რუსული ესტრადის ვარსკვლავ ნიკოლაი ბასკოვის ამერიკელი იუველიერის, ჯეიკობ არაბოს მეუღლემ ბრილიანტის ხელთათმანი არშემს.

ჯეიკობ არაბოს მიერ შექმნილი ნაწარმი დევიდ ბექჰემსა და მადონასაც აქვთ. აღსანიშნავია, რომ ანალოგიურ ხელთათმანს ლეგენდარული მაიკლ ჯექსონიც ატარებდა.

„ჯეიკობ ანუელასთან დიდი ხანია, ვმეგობრობ და ასეთი ყურადღებისთვის მადლობელი ვარ, თუმცა ხელთათმანი ოდნავ უნდა გადავაკეთო – ერთი სანტიმეტრით უნდა გაგავდიო“, – ამბობს ბასკოვი.

### შვედეთის საგეოლო ოჯახი პრინცი არჩვანს აპროტესტავს

შვედეთის პრინცი ქორწინდება – კარლ ფილიპის საცოლვე რეალიტი შოუების მონაწილე სოფია ჰელკვისტია. გაგრძელებული ინფორმაციით, საგეოლო ოჯახი სარძლოს, მისი წარმომავლობისა და წარსულის გამო, კარგი თვალით არ უყურებს – სოფია მამაკაცების ჟურნალებისთვის, პრაქტიკულად, შიშველი პოზირებდა, ასევე, რეალურ შოუებშიც მონაწილეობდა და უარს არც ხმაურიან წვეულებებზე ამბობდა.

შეგახსენებთ: კარლ ფილიპი შვედეთის მეფის, კარლ XVI გუსტავისა და დედოფალ სალვიას ერთადერთი ვაჟია. მართალია, პრინცს უფროსი და ჰეაგის, მაგრამ კარლი მამის პირდაპირ მემკვიდრედ ითვლება.

### არნოლდ შვარცნაგერის აუხდენალი ოცნება

„აშშ-ის პრეზიდენტობას ბარაკ ობამაზე უკეთესად შევძლებ, მაგრამ სამწუხაროდ, არჩევნებში მონაწილეობის მიღება არ შემიძლია, რადგან აშშ-ის ტერიტორიაზე არ დავბადებულვარ“, – აცხადებს მსახიობი და კალიფორნიის ყოფილი გუბერნატორი არნოლდ შვარცნაგერი.

მისივე თქმით, ყველაფერი, რასაც ცხოვრებაში მიაღწია, აშშ-ს დამსახურებაა.

შეგახსენებთ: 2003 წელს, შვარცნაგერი კალიფორნიის გუბერნატორად აირჩიეს. განმეორებით, ეს პოსტი 2006 წელსაც დაიკავა.

2011 წელს, კინემატოგრაფიაში დაბრუნების გამო, შვარცნაგერმა პოლიტიკური კარიერა დაასრულა.

### ქართველმა „კანონიერმა ქურდმა“ „ტატუს“ წაწირი შიერთო

35 წლის გიორგი ზარანდია ე.წ. კანონიერი ქურდია და მას „გია გალსკის“ მეტსახელით იცნობენ. როგორც რუსული მედია იუწყება, რამდენიმე დღის წინ, „გია გალსკიმ“ ცოლად სკანდალურ ჯგუფ „ტატუს“ ყოფილი წევრი, 30 წლის იულია ვოლკოვა მოიყვანა. მეტიც, მედია იუწყება, რომ იულია ზარანდიასგან შვილს ელოდება.

შეგახსენებთ: იულია ვოლკოვამ ჯგუფი „ტატუს“ 2010 წელს დატოვა და მას შემდეგ, სოლო კარიერითა დაკავებული იულია ორი შვილის დედაა: პირველის მამა თავისი დაცვის ყოფილი უფროსია. მეორის კი, – კომპანია „მოსტროიმექანიზაცია 5“-ის გენერალური დირექტორის ვაჟი.

### პერი ჰილტონის და როტშილდების რძალი ხდება

პოლივუდელი პერის ჰილტონის უმცროსი და, ნიკი მალე როტშილდების იმპერიის წევრი გახდება – ის ცოლად ჯეიმს როტშილდს მიჰყვება.

რაც შეეხება თავად ვარსკვლავს, 34 წლის პერის სასიყვარულო ურთიერთობა შვეიცარელ მულტიმილიონერ პანს ტომას გროსთან აქვს.

# ასეა ეს...

## მიხეილ ჯავახიშვილი

ბოლმამ და არაკაცობამ გამანადგურა, დამქანცა, მიხეილ ჯავახიშვილი ჩაუშვა მისმა ძმაცაცმა.

## ოთარ ჩხეიძე

ჩემს სათემელ სიტყვას ისე დავმარცვლა, გაიგოს ყველამ, რომ ხარ მწვერვალი, ვინც შენ მოგპარა, ვინც შენ წაგართვა, ყველას დაარქვეს დიდი მწვერალი.

## კონსტანტინე გამსახურდია

ამ ცხოვრების დრო-უამს – მრუდეს ბედი არ უნერია, „მთვარის მოტაცება“, თურმე, ზვიადს დაუნერია.

## ჭაბუა

დამიჯერე, ვინც შენ გებრძვის, ფეხქვეშ მინა შესძვრია, შენ გებრძვიან ისე, როგორც „თუთაშხიას“ ებრძვიან.

## ნოდარ დუმბაძე

რაც შენი მზის შედეგია, კვლავაც ვეტრფი იმ ალიონს, ვენაცვალე შენს ბებიას, ილიკოს და ილარიონს.

## პანთეონი

„ქართველს სიკვდილი სირზე ჰკიდა, მისთვის მთავარი პანთეონია“, – ეს სტრიქონები ზედ მთაწმინდაზე დაუნერია მათე ონიანს.

## პანთეონი №2

ხალხნო, ნუ გაახურეთ, დროში გასამწერებო, პანთეონი დახურეს, აღარ მოკვდეთ, მწერლებო!



არავინ იცის, საიდან მოდის, ან საით მიდის სილამაზე... ალბათ, ამიტომაცაა, რომ ადამიანები სილამაზისთვის მსხვერპლს ვიღებთ... ზოგი იმასაც ამბობს, რომ სილამაზე ფუფუნებაა, რომელთან ზიარების უფლებაც მხოლოდ „ამა სოფლის ძლიერთ“ აქვთ, თუმცა ამ შეხედულებას კლინიკა „თალიზის“ ხელმძღვანელი, ესთეტიკური მედიცინის ამერიკული აკადემიის პროფესორი, თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო და აზიის ასოციაციების წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წილოსანი რადიკალურად ემიჯნება და ამბობს რომ „თალიზის“ პაციენტები მხოლოდ მდიდრები კი არა, ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან. დიას, თუკი სიმელოტემ შეგანუხათ და ღიმილი მოგენატრათ, რა მნიშვნელობა აქვს, მდიდარი ხარ თუ ღარიბი? – მთავარია, მოინდომოთ და „თალიზის“ ოქროსხელეა დასტაქრები ნამდვილ ჰოლივუდის ვარსკვლავად გაქცევენ. როგორ?

დეტალებს შეგიძლიათ, მე-16 გვერდზე გაეცნოთ.

# შეიძლება თუ არა დამწვარ და ნაჭრილობებ კანზე თმის გადანერგვა

აკაკი წილოსანი – თმის ინპლანტაციის ქართველი გურუ კლინიკა „თალიზიდან“



# talizi

თმის გადანერგვის ცენტრი

თბილისი 27, ტელ: 2141515

[www.talizi.ge](http://www.talizi.ge)



თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს (ყოფილი „არამიანცის“) ეივლები – „ეპერჯენსი“



## დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024



მთავარი რედაქტორი: **ჯანსუღ ჩარკვიანი**  
მთ. რედაქტორის მოადგილე: **ვანო პავლიაშვილი**  
სარედაქციო კოლეგია:  
**ჭაბუა ამირეჯიანი**, **მეზაბა გარბინიშვილი**,  
**ბაჩანა ბრეგვაძე**, **თამარ გოცაძე**, **ეზარა კვიციანიშვილი**,  
**არგაზ სანუაშვილი**.

მედია-ჯგუფი: მერიკა კახაძე, ნათია გოგიტიძე, ნათია ვერკეული, ნათია ლეზანიძე.  
დიზაინერი და ფოტოკორექსორდენტი: ზურა მებრეულიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეპროდუქციის ცენტრის (საბალსახალო ინსაიტცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი: 26 მაისის მოედანი. №1  
ტელ.: 272-63-90

E-Mail: [qartulicityva@gmail.com](mailto:qartulicityva@gmail.com)

გაზეთი მომზადდა თბილისის პრესის პრინციპით